საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 163 (20204) ხუთშაბათი, 14 ივლისი, 1988 წელი. ფასი 3 კაპ.

მიფრინავს „ფობოს—2"

სააგენტოს ცნობა

1988 წლის 12 ივლისს საბჭოთა კავშირში ოთხსაფეხურიანი „პროტონ" მატარებელი რაკეტის საშუალებით გაშვებულია ავტომატური საპლანეტათშორისო სადგური „ფობოს-2".

როგორც უკვე ვიუწყებოდით, „ფობოსის" პროექტით შექმნილი ორი საბჭოთა საპლანეტათშორისო სადგურის ფრენის პროგრამით გათვალისწინებულია პლანეტა მარსისა და მისი თანამგზავრის, აგრეთვე საპლანეტათშორისო სივრცისა და მზის გამოკვლევა.

პირველი სადგური მარსისაკენ ფრენის ტრაექტორიაზე გაყვანილი იყო 1988 წლის 7 ივლისს. კონსტრუქციითა და დანიშნულებით სადგურები ძირითადად ანალოგიურია, მაგრამ პირველისაგან განსხვავებით მეორე სადგურში ორი დასაშვები ზონდია ფობოსის გამოსაკვლევად. ერთ-ერთი მათგანი ისევე როგორც პირველი სადგურის ზონდი, განკუთვნილია დაშვების ადგილას კვლევისა და სატელევიზიო გადაღებისათვის. მეორე ზონდის მოწყობილობა საშუალებას აძლევს მას ნახტომისებურად გადაადგილდეს ფობოსის სხვადასხვა წერტილში მისი ზედაპირის მახასიათებლების შესახებ მონაცემების მიღების მიზნით.

ორი საპლანეტათშორისო სადგურის გაშვება შესაძლებლობას იძლევა განხორციელდეს ფობოსის დამოუკიდებელი კომპლექსური გამოკვლევა და საერთოდ ზრდის რთული სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამის შესრულების შესაძლებლობას.

ორივე სადგური პლანეტა მარსის მიდამოებს მიაღწევს გაისად იანვრის დამლევს. მათი ფრენის ტრაექტორიის პარამეტრები უახლოვდება გაანგარიშებულს. საბორტო სისტემები და სამეცნიერო აპარატურა ნორმალურად მუშაობს.

„ფობოს-1" და „ფობოს-2" სადგურების გაშვებით საბჭოთა კავშირში დაიწყო იმ ახალი თაობის ავტომატური კოსმოსური აპარატების საფრენოსნო გამოცდები, რომლებიც შექმნილია სსრ კავშირის მთავარკოსმოსის გ. ნ. ბაბაკინის სახელობის სამეცნიერო-გამოსაცდელ ცენტრში მთვარის, ვენერას, მარსის და ჰალეის კომეტისაკენ ფრენის დროს სამამულო კოსმონავტიკის გამოცდილების საფუძველზე. „ფობოსის" ტიპის სადგურები გამოყენებული იქნება საბაზო ავტომატურ აპარატებად მზის სისტემის პლანეტების გამოკვლევის დროს, კერძოდ, მარსის პროგრამის განხორციელებისას, რაც კოსმოსური სივრცის მშვიდობიან ათვისებაში საერთაშორისო თანამშრომლობის შემდგომი განვითარების ფართო პერსპექტივებს სახავს.

● საკავშირო პარტიული კონფერენციის რეზოლუციები

კანონი ყველასთვის ერთია

მრავალი წლის მანძილზე დაზეპირებულად წარმოვთქვამდით ამ ფრაზას, ვერ ვამჩნევდით, რომ ხშირად იგი სინამდვილეს არ შეესაბამებოდა. პიროვნების კულტის, უძრაობის მოვლენების წლებში სამართლებრივ სისტემაში გაჩნდა დამახინჯებები და დეფორმაციები. ისინი წარმოიშვა სოციალიზმისათვის უცხო მართვის ავტორიტარული მეთოდების, სახელმწიფო ცხოვრების ლენინური პრინციპებისაგან გადახვევის შედეგად. სამეურნეო, პარტიულ-საბჭოთა აპარატის ზედა სართულებში წარმოიშვა ლამის ხელშეუხებელთა კასტა, რომელიც არ ექვემდებარებოდა არავითარ კონტროლს, მათ შორის სამართლებრივსაც. ამას თანდათანობით მოჰყვა ორგანიზებული დამნაშავეობა, კორუფცია, მექრთამეობა, სხვა ნეგატიური მოვლენები. ამავე დროს გავრცელდა სისხლის სამართლის პასუხისგებაში უდანაშაულოთა მიცემის შემთხვევები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმმა, პარტიის XXVII ყრილობამ მკაფიოდ გამოავლინა არსებული სამართლებრივი სისტემის კონსერვატიზმი და ნაკლოვანებები, სისტემისა, რომელიც ხშირად ორიენტირებული იყო ხელმძღვანელობის არა დემოკრატიულ, არა ეკონომიკურ, არამედ მბრძანებლურ-ადმინისტრაციულ მეთოდებზე, ამასთან მრავალრიცხოვან აკრძალვასა და წვრილმან რეგლამენტაციაზე. ცხოვრებას ჩამორჩა კანონმდებლობაც. ამიტომ მთელი რიგი მოქმედი სამართლებრივი აქტები აღმოჩნდა გარდაქმნის არა ბერკეტი, არამედ მუხრუჭი. ცხადი გახდა, რომ საჭიროა სამართლებრივი რეფორმა, რომელმაც უნდა მოიცვას სამართლებრივი ნორმების დიდი მასივი, უწინარეს ყოვლისა, ისეთები, რომლებიც ეხება სოციალისტურ საკუთრებას, დაგეგმვას, სამეურნეო, შრომითს, საგადასახადო, საპენსიო და სხვა ურთიერთობებს. საჭირო იყო მუშაობის განგრძობა თითოეული ადამიანის კანონიერი უფლებების, ინტერესებისა და თავისუფლებების განმტკიცებისათვის.

გარდაქმნის წლებში ამ მიმართულებით უკვე ბევრი რამ გაკეთდა. სამართალდაცვითი ორგანოები აღარ არიან დახურული ზონა საჯაროობისათვის, მათი საქმიანობა სულ უფრო მეტად ექვემდებარება დემოკრატიზაციის სულისკვეთებას. მაგრამ, როგორც აღნიშნულია XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის რეზოლუციაში „სამართლებრივი რეფორმის შესახებ", განხორციელებული ღონისძიებანი უნდა მივიჩნიოთ მხოლოდ იმ დიდი მუშაობის დასაწყისად, რომელიც სოციალისტური სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირებას უკავშირდება.

ეს ამოცანა პარტიამ პირველად დააყენა. მისი გადაწყვეტა — ნიშნავს შევქმნათ გარდაქმნის შეუქცევადობის კონსტიტუციური გარანტიები, დავამკვიდროთ ჩვენს საზოგადოებაში კანონის უზენაესობა, რომელიც ხალხის ნებას გამოხატავს, გავაძლიეროთ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, მკაცრ სამართლებრივ საფუძველზე გადავიყვანოთ სახელმწიფო და პარტიული ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების, ყველა თანამდებობის პირისა და მოქალაქის მოქმედება.

სოციალისტური სამართლებრივი სახელმწიფო ვრცელი, ტევადი ცნებაა. იგი არ ამოიწურება კანონიერების ამა თუ იმ დონით. სამართლებრივი სახელმწიფო საბოლოო ანგარიშით შეგვიძლია ვუწოდოთ მხოლოდ იმას, რომელსაც ახასიათებს სახელმწიფოსა და მისი მოქალაქეების, მათი გაერთიანებებისა და ორგანიზაციების, ყველა იმათი ურთიერთპასუხისმგებლობა, ვინც სახელმწიფოსთან ამყარებს სამართლით რეგულირებულ ურთიერთობას.

იმათ, ვინც ყურადღებით ადევნებდა თვალს კონფერენციის მუშაობას, ალბათ, შენიშნეს, რომ ამ აზრით იყო გამსჭვალული დელეგატთა მრავალი გამოსვლა. ეს კანონზომიერია. ყველა ჩვენი წამოწყება, კონფერენციაზე მიღებული ყველა გადაწყვეტილება მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაღწევს მიზანს, თუ ზუსტ სამართლებრივ საფუძველზე განხორციელდება. კანონიერების დაცვა კამპანია არ არის. ეს ცხოვრების წესია. სწორედ იგი უნდა დაამკვიდროს ფართო სამართლებრივმა რეფორმამ, რომლის განხორციელება დასახა პარტკონფერენციამ. რეფორმამ უნდა უზრუნველყოს კანონის უზენაესობა საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში, გააძლიეროს სოციალისტური მართლწესრიგის უზრუნველყოფის მექანიზმი სახალხო ხელისუფლების განვითარების საფუძველზე.

რა უნდა ვიღონოთ ნამდვილი სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის?

უწინარეს ყოვლისა, უნდა გავაუმჯობესოთ ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების საკანონმდებლო საქმიანობა. სამწუხაროდ, მრავალი წლის მანძილზე ეს მუშაობა პირდაპირ ვთქვათ, ხალხის უმრავლესობისაგან ფარულად წარმოებდა. კანონების პროექტები მზადდებოდა სააპარატო გზით და ხშირად გამოხატავდნენ არა ადამიანების, არამედ უწყებებისა და დაინტერესებული ჯგუფების ნებას. ამიტომ, როგორც პარტკონფერენციაზე აღინიშნა, განსაკუთრებით საჭიროა საკანონმდებლო პროცესის დემოკრატიზაცია. იგი უნდა მიმდინარეობდეს საჯაროობის, ფართო საზოგადოებრიობის, მთელი ხალხის მონაწილეობით კანონპროექტების კომპეტენტური მეცნიერული შეფასებისა და განხილვის საფუძველზე. მხოლოდ ასე შეგვიძლია მივაღწიოთ ქვეყანაში კონსტიტუციური რეჟიმის განმტკიცებას, გადაჭრით გავზარდოთ საზოგადოებრივი ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი დარგების მარეგულირებელი საბჭოთა კანონების როლი და ქმედითობა. ხოლო თითოეული მოქალაქის მონაწილეობით შეგვიძლია უზრუნველვყოთ კონფერენციაზე ჩამოყალიბებული იმ პრინციპის თანამიმდევრული განხორციელება, რომ ნებადართულია ყველაფერი, რაც კანონით არ არის აკრძალული.

ამ ფორმულაში უნდა გამოვყოთ სიტყვა „კანონი". აბსოლუტურად საჭიროა, რომ ამ კონტექსტით კანონი გავიგოთ ამ ცნების ზუსტი კონსტიტუციური მნიშვნელობით, ესე იგი მივიჩნიოთ მხოლოდ იმ აქტად, რომელიც მიიღო სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესმა ორგანომ. ხოლო, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე ყოველდღიურ ცხოვრებაში, კანონად მივიჩნევთ ყოველგვარ ნორმატიულ აქტს, აკრძალვების იმ ბაქანალიის შედეგად, რომელიც დღეს ახასიათებს საუწყებო და ადგილობრივ ნორმათშემოქმედებას, მოყვანილი ფორმულა დაკარგავს რეალურ მნიშვნელობას. იგი მიმართულია მოქალაქეებისა და მათი გაერთიანებებისადმი. რაც შეეხება მართვის ორგანოებსა და თანამდებობის პირთ, მათთვის არსებობს კომპეტენცია, რომლის ფარგლებს ისინი არ უნდა გასცდნენ.

სამწუხაროდ, დღეს ეს წესი ხშირად ირღვევა. მრავალი უწყებრივი ინსტრუქცია ხშირად ეწინააღმდეგება კანონსა და კონსტიტუციას, აფერხებს სახალხო მეურნეობის განვითარებას, ბოჭავს მშრომელთა ინიციატივას, ბღალავს მათ უფლებებსა და ინტერესებს. ამიტომ სამართლებრივი რეფორმის განუყოფელი ნაწილი უნდა გახდეს კანონმდებლობის კარდინალური გადასინჯვა, კოდიფიკაცია და სისტემატიზაცია. მეურნეობრიობის ახალი პირობების, საზოგადოებრივი ცხოვრების ჰუმანიზაციისა და დემოკრატიზაციის, სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის თვალსაზრისით არსებითი ცვლილებანი უნდა შევიტანოთ კანონმდებლობის ყველა ფენაში, კერძოდ, რადიკალურად გადავსინჯოთ სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული, საპროცესო და შრომა-გასწორებითი კანონმდებლობა. სსრ კავშირის კონსტიტუციის მოთხოვნებთან კანონებისა და მთავრობის დადგენილებების მკაცრი შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით კონფერენციამ სასარგებლოდ მიიჩნია დაწესდეს საკონსტიტუციო ზედამხედველობის კომიტეტი, აგრეთვე გაძლიერდეს იმისადმი კონტროლისათვის მთელი მუშაობა, რომ უწყებრივ ნორმატიულ აქტებში ზუსტად იყოს დაცული კანონების მითითებანი. თვით ასეთი აქტების რაოდენობა მკვეთრად უნდა შემცირდეს.

სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ გაძლიერდეს სასამართლოს როლი სოციალისტური დემოკრატიის სისტემაში. საბჭოთა სამართალწარმოებაში კიდევ უფრო უნდა განვავითაროთ საჯაროობა, შეჯიბრებითობა, განუხრელად დავიცვათ უდანაშაულობის პრეზუმფცია. დაუშვებელია, რომ ისჯებოდეს უდანაშაულო, მაგრამ დაუშვებელია იმათი შეწყნარებაც, ვინც ხელყო კანონი.

„სამართლებრივი რეფორმის შესახებ" კონფერენციის რეზოლუციაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ საჭიროა სამართალდაცვითი ორგანოების მუშაკთა დამოუკიდებლობის განმტკიცება. მოსამართლეებისათვის, მაგალითად, ასეთი გარანტია უნდა გახდეს სახალხო დეპუტატთა ზემდგომი საბჭოების მიერ რაიონული, საქალაქო, საოკრუგო, საოლქო და სამხარეო სასამართლოების არჩევა, აგრეთვე მათი უფლებამოსილების უფრო ხანგრძლივი ვადის დადგენა.

კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვა მარტო მოქალაქეებს როდი სჭირდებათ. ეკონომიკური რეფორმის, სამეურნეო ანგარიშის, თვითმმართველობისა და თვითდაფინანსების პირობებში მრავალი სამართლებრივი პრობლემა დგება სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების, კოოპერატივების წინაშე. ამაზე კონფერენციაზე მრავალმა დელეგატმა ილაპარაკა. და მათი საზრუნავის პასუხად რეზოლუციაში გაჩნდა სტრიქონები, რომლებშიც ნათქვამია, რომ უნდა გაფართოვდეს სახელმწიფო არბიტრაჟის უფლებამოსილება სახელშეკრულებო დისციპლინის განმტკიცებაში, საწარმოებისა და კოოპერატივების უფლებების დაცვაში, გაძლიერდეს იურიდიული სამსახური სახალხო დეპუტატთა საბჭოებში, სამინისტროებსა და უწყებებში, სამეურნეო ორგანიზაციებში.

უკანასკნელ წლებში ბევრ საყვედურს იმსახურებს პროკურატურის ორგანოების საქმიანობა. აქ შეინიშნება მნიშვნელოვანი გადახრა საგამოძიებო მუშაობის მიმართულებით საზედამხედველო მუშაობის საზიანოდ. ამიტომ კონფერენციამ აღნიშნა, რომ უნდა აღვადგინოთ საპროკურორო ზედამხედველობის ლენინური პრინციპები. მან მკაცრად უნდა ადევნოს თვალი კანონების შესრულებას, ერთგვაროვან გაგებასა და გამოყენებას, შეუპოვრად ებრძოლოს სოციალისტური კანონიერების დარღვევებს, ვინც უნდა სჩადიოდეს მათ.

სამართლებრივი რეფორმა გულისხმობს მილიციის მუშაობის გაუმჯობესებას. დღეს ნაკლებად, მაგრამ მაინც ვხვდებით მისი თანამშრომლების უხეშობის და არაკომპეტენტურობის ფაქტებს. შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომელთა კულტურისა და პროფესიული ცოდნის ამაღლება დღევანდელობის ამოცანაა. რეზოლუციით გათვალისწინებულია დამნაშავეობასთან ბრძოლაში მილიციის შესაძლებლობების უკეთ გამოყენების ღონისძიებანიც. კერძოდ, ნავარაუდევია სისხლის სამართლის საქმეთა ძირითადი მასის გამოძიება თავმოყრილი იყოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საძიებო აპარატში, ხოლო იმისათვის, რომ იგი დავიცვათ მოკვლევის ორგანოების გავლენისაგან, მიზანშეწონილია გამოძიება გამოიყოს დამოუკიდებელ სტრუქტურად, რომელიც არ დაექვემდებარება შინაგან საქმეთა რესპუბლიკურ და ადგილობრივ ორგანოებს.

პარტკონფერენციის რეზოლუციაში ყურადღება ეთმობა ადვოკატურის, როგორც მოქალაქეებისა და ორგანიზაციებისათვის იურიდიული დახმარების გაწევის თვითმართვადი ასოციაციის როლის გაძლიერებასაც. გათვალისწინებულია გაფართოვდეს ადვოკატთა მონაწილეობა წინასწარ გამოძიებასა და სამართალწარმოებაში. ეს ღონისძიება გაზრდის მოქალაქეთა უფლებების, ინტერესებისა და თავისუფლებების დაცვის ეფექტიანობას.

რა თქმა უნდა, სამართლებრივი რეფორმა ძნელი საქმეა და ერთ დღეში არ გადაწყდება. აქ წინა პლანზე დგება იმათი პროფესიული მომზადების საკითხი, ვინც განახორციელებს რეფორმას, იმუშავებს სამართალდაცვით ორგანოებში. სამწუხაროდ, დღეს იურისტთა მომზადებაში მრავალი პრობლემაა. საჭიროა იმ ადამიანთა შერჩევის, აღზრდის, სწავლების, გადამზადების მწყობრი სისტემა, რომელთა პროფესიაა კანონის დაცვა. ამავე მიზნით, ნათქვამია კონფერენციის დოკუმენტებში, უნდა განხორციელდეს სამეცნიერო და მასწავლებელთა კადრების მომზადების რეორგანიზაცია, აღმოიფხვრას მათი მოწყვეტა პრაქტიკისაგან, გაიზარდოს კომპეტენტურობა. სოციალისტური სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირება, ამასთან დაკავშირებული რეფორმები სამართლებრივი აზროვნების გარდაქმნას, მთელი მოსახლეობის სამართლებრივ აღზრდას მოითხოვს. საჭიროა მოეწყოს იურიდიული საყოველთაო სწავლება, როგორც მშრომელთა ყველა ფენის, ცენტრში თუ ადგილებზე მთელი კადრების მომცველი ერთიანი საერთო-სახელმწიფო, საერთო-პარტიული პროგრამის ორგანიზაცია.

საკავშირო პარტიულმა კონფერენციამ დასახა სამართლებრივი რეფორმის პროგრამა. ახლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რომ უკვე უახლოეს დროში საზოგადოებრივი და სამეცნიერო ორგანიზაციების მონაწილეობით შევიმუშაოთ და განვახორციელოთ მისი რეალიზაციისათვის ღონისძიებების კონკრეტული გეგმა. ჩვენ უნდა ვიცხოვროთ ნამდვილად სამართლებრივ სოციალისტურ სახელმწიფოში.

„ПРАВДА" 12 ივლისის მოწინავე.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

მესამე დეკადის ანგარიშში

საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის" დიმიტროვის სახელობის მაღაროსსამმართველოს კოლექტივი წლის მეორე ნახევარშიც რიტმულად და რენტაბელურად მუშაობს. ივლისის პირველ დეკადაში აქ მოიპოვეს და ქვეყნის მეტალურგიულ ქარხნებს გაუგზავნეს 870 ტონით მეტი საუკეთესო ხარისხის სასაქონლო კონცენტრატი, ვიდრე ივნისის შესაბამის პერიოდში. ამასთან დაზოგეს ბევრად მეტი ელექტროენერგია და სამაგრი მასალა, ვიდრე ნაკისრი ვალდებულებით ითვალისწინებდა.

პირველი, მე-11 და მე-12 საწარმოო უბნები, რომლებსაც გამოცდილი ინჟინრები ბ. იაკობიძე, შ. ფარჯიანიძე და მ. ყიფშიძე ხელმძღვანელობენ, ივლისის მესამე დეკადის ანგარიშში იძლევიან პროდუქციას.

▼▼

პროფესიულ დღესასწაულს ღირსეული შეხვედრა

ამ დევიზით შრომობენ საწარმოო გაერთიანება „ტყიბულქვანახშირის" ორჯონიკიძის სახელობის შახტის მეოთხე უბნის მუშები, რომლებმაც წლის დამდეგიდან გეგმის გადაჭარბებით 1.100 ტონა ქვანახშირი მოიპოვეს და ამ წამყვანი ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით რეგიონის საექსპლოატაციო უბნებს შორის პირველი ადგილი დაისაკუთრეს.

ა. რობაქიძემ, ვ. ვახტანგაძემ, რ. ქარქაშაძემ, ვ. ცირეკიძემ, გ. ერგემლიძემ და სხვა მოწინავე სამთოელებმა მეშახტის დღემდე — 28 აგვისტომდე დარჩენილი ყოველი დღე დამკვრელურად გამოაცხადეს და პირობა დადეს, რომ ყოველ ცვლაში ნორმის გადაჭარბებით მოიპოვებენ სულ ცოტა 3-3,5 ტონა ქვანახშირს.

▼▼

დროს უსწრებენ

12 დღით გაუსწრო კალენდარს თერჯოლის მაუდის ფაბრიკის კოლექტივმა, რომელმაც 6 თვეში გეგმის გადაჭარბებით 200 ათასი მანეთის პროდუქცია მიაწოდა მომხმარებელს.

ქეთინო ნემსაძე, გულნარა მაკარიძე, ლელა ჩიტიძე, ციცინო ლილუაშვილი და სხვა მოწინავე ფეიქრები 11 ივლისიდან სექტემბრის ანგარიშში იძლევიან პროდუქციას.

▼▼

შეხვედრა ავსტრალიელ სტუმართან

სტუმარი, რომელმაც მრავალი ათასი კილომეტრი გადალახა იმისათვის, რომ მოსკოვში ჩამოსულიყო, ძირითადად შეკითხვებს სვამდა და ყურადღებით ისმენდა პასუხს. მას ყველაფერი აინტერესებდა: გარდაქმნის მიმდინარეობაც; XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის შედეგებიც, საჯაროობის განვითარებაც, საბჭოთა კავშირ-ავსტრალიის ურთიერთობის პერსპექტივებიც, აზია-წყნარი ოკეანის უზარმაზარ რაიონში უშიშროების უზრუნველყოფაც. ყველა ამ საკითხზე, ისევე როგორც მთელ რიგ სხვა საკითხებზეც, მან საჭირო განმარტება მიიღო.

ასე მიმდინარეობდა 12 ივლისს კრემლში ა. ა. გრომიკოს საუბარი ავსტრალიის ფედერალური პარლამენტის სენატის თავმჯდომარესთან კერი უოლტერ საიბრასთან.

საუბრის დასაწყისში სტუმრის თხოვნით ა. ა. გრომიკომ ზოგადად შეაფასა საბჭოთა კავშირ-ავსტრალიის საპარლამენტო კავშირ-ურთიერთობის მდგომარეობა და პერსპექტივები. მან კმაყოფილება გამოთქვა, რომ ეს ურთიერთობა მოგვარებულია, და მხარი დაუჭირა მის განგრძობას უფრო მრავალმხრივი და ფართო თვალსაზრისით.

ა. ა. გრომიკომ ყოველივე საუკეთესო უსურვა ავსტრალიის პარლამენტსა და ხალხს. იმედი გამოთქვა, რომ საბჭოთა კავშირ-ავსტრალიის ურთიერთობაში მიღებული პოზიტიური ძვრები კიდევ უფრო ფართო ხასიათს შეიძენს ყველა დონეზე შემდგომი კონტაქტების მსვლელობაში.

საუბარმა გულახდილ და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

▼▼

პარლამენტართა ვიზიტი

13 ივლისს თბილისში ჩამოვიდა ავსტრალიის ფედერალური პარლამენტის სენატის თავმჯდომარე კ. უ. საიბრა. იგი საბჭოთა კავშირში ოფიციალურ ვიზიტად არის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევით.

ავსტრალიელი სტუმარი დაათვალიერებს რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „თბილავიას", მოივლის თბილისისა და მცხეთის ღირსშესანიშნავ ადგილებს.

თანამშრომლობენ მშენებლები

თბილისში გაიხსნა საბჭოთა კავშირ-ამერიკის საბინაო და სხვა საზოგადოებრივი მშენებლობის დარგში თანამშრომლობის კომისიის სამუშაო ჯგუფის გაერთიანებული სხდომა. დღის წესრიგშია: საბინაო და საზოგადოებრივი შენობათა მშენებლობაში, ექსპლოატაციაში, მოდერნიზაციასა და რეკონსტრუქციაში ეფექტიანობის საკითხების განხილვა. კერძოდ, იხილავენ თბილისსა და კიროვაკანში საცხოვრებელი სახლების დაპროექტებისა და რეკონსტრუქციის პირველ ეტაპს, რესპუბლიკის დედაქალაქში ახალი საცხოვრებელი კომპლექსების ერთობლივ დაპროექტებას, მშენებლობასა და ექსპლოატაციას, მთელი რიგი არსებული საცხოვრებლების რეკონსტრუქციას. იხილავენ აგრეთვე საშენ მასალათა, სანტექნიკურ-ტექნიკური არმატურისა და სხვა ნაწარმის ერთობლივ საწარმოთა შექმნის პერსპექტივებს.

12 ივლისს გაერთიანებული სხდომის მონაწილენი მიიღო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ზ. ლაბახუამ.

საუბრის დროს ამერიკის დელეგაციის წევრებს, რომლებსაც მეთაურობს ამერიკის შეერთებული შტატების საბინაო მშენებლობისა და საქალაქო განვითარების მინისტრის მოადგილე დ. მაკ-რეი, გააცნეს საქართველოში, ისევე როგორც მთელ ქვეყანაში, მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნები, რომლებიც ხდება საჯაროობისა და საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს დემოკრატიზაციის ვითარებაში.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ უმაღლესი დონის შეხვედრებმა, რომლებმაც ხელი შეუწყო საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობების გაუმჯობესებას, იმპულსი მისცა საბჭოთა კავშირ-ამერიკის კონტაქტების გააქტიურებას, საქმიანი ურთიერთობის გაფართოებას.

გამოითქვა კმაყოფილება საქართველოს სამშენებლო ორგანიზაციებსა და ამერიკის შეერთებული შტატების ფირმებს შორის მზარდი კონტაქტების გამო, რწმენა, რომ ეს ხელს შეუწყობს საბჭოთა და ამერიკელი ხალხების მეგობრული ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას და ურთიერთგაგებას.

დ. მაკრეიმ დიდი ინტერესი გამოიჩინა რესპუბლიკაში მიმდინარე პოზიტიური პროცესებისადმი, მასთან სხვადასხვა დარგში ამერიკის შეერთებული შტატების არა მარტო საქმიანი წრეების, არამედ ფართო საზოგადოებრიობის თანამშრომლობისადმი.

საუბარში მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირ-ამერიკის საბინაო და სხვა საზოგადოებრივი მშენებლობის დარგში თანამშრომლობის ერთობლივი კომისიის საბჭოთა ნაწილის ხელმძღვანელი ნ. რედიანოვა და სხვა ოფიციალური პირები.

სსრ კავშირიდან გაემგზავრა

ულან-უდე. 13 ივლისს ინდოეთის პრეზიდენტი რ. ვენკატარამანი მეგობრულ სსრ კავშირიდან გაემგზავრა. იგი საბჭოთა კავშირში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მიწვევით.

ბახმარო: განვითარების პერსპექტივები

უნიკალურმა ბუნებრივ-კლიმატურმა პირობებმა ამ მაღალი მთის ჯანმრთელობის კერას უკვე მოუტანა დამსახურებული სახელი. მაგრამ მალე ბახმარომ უნდა შეიცვალოს იერსახე. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში განსაზღვრულია 1988-1995 წლებში კურორტის განაშენიანების პერსპექტივები.

აქ გაიშლება მძლავრი სამშენებლო პოლიგონი: ამუშავდება 120-ადგილიანი ჯანმრთელობის კერა, დედათა და ბავშვთა დასასვენებელი სახლი, ბავშვთა სანატორიუმი, ტურბაზა, შეიქმნება საინჟინრო კომუნიკაციების ინფრასტრუქტურა. გარდა ამისა, აქ შეიქმნება თანამედროვე სამთო-სათხილამურო ბაზები, რის გამო გათვალისწინებულია ფაფარას მთაზე სათხილამურო ტრასების გაყვანა და საბაგირო გზების აგება. და კიდევ, კურორტს დაამშვენებენ ინდივიდუალური პროექტებით აშენებული საცხოვრებელი სახლები. ახლა ბახმაროს განაშენიანების საკითხებზე მოლაპარაკება აქვთ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის კურორტების სამმართველოს და დასავლეთ გერმანიის სასტუმროების მშენებლობის ფირმას „შტაიგენბერგერს", რომელმაც ევროპაში სახელი მოიხვეჭა.

განაშენიანების ღონისძიებათა განხორციელებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გზის მშენებლობას, რომელიც 1986 წელს დაიწყო. მშენებლობის მიმდინარეობის გასაცნობად ბახმაროში ჩავიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი.

ჩოხატაურ-ბახმაროს გზის 52 კილომეტრიან მონაკვეთზე (მის რეკონსტრუქციას ახორციელებენ ბათუმის, მახარაძის, ჩოხატაურისა და ლანჩხუთის სამშენებლო ორგანიზაციები) ბევრი რამ გაკეთდა: კურორტ ნაბეღლავამდე რეკონსტრუქცია მთლიანად დამთავრებულია, დაყენებულია გზის სამაგრები, ასაქცევი ჯებირები. დამთავრდა აგრეთვე მიწის სამუშაოები დანარჩენ 32 კილომეტრზე. მომავალი წლის დამლევისათვის მზად იქნება გუბაზოულისა და ბახვისწყლის ხიდები. მაშინ შესაძლებელი გახდება ბახმაროში მთელი წლის მანძილზე მიმოსვლა, რასაც პრინციპული მნიშვნელობა აქვს კურორტზე სამთო-სათხილამურო სპორტის განვითარების პერსპექტივისათვის. ამავე მიზნით შეიქმნება სათანადო ტექნიკური ბაზა გზების მომსახურებისათვის.

მშენებლებთან და სპეციალისტებთან საუბრის დროს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სამუშაოთა ხარისხს — მათ ხომ უნდა გაუძლონ ზამთრის მკაცრ გამოცდას, რომელიც მეტად თავისებურია ამ ადგილებში. ისიც ითქვა, რომ მიზანშეწონილია რაც შეიძლება მალე განიხილონ ბახმაროს განაშენიანების პირველი რიგის პროექტი, სადაც სათანადო ადგილს დაიკავებს გზის რეკონსტრუქციისა და შემდგომი კეთილმოწყობის საკითხები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი დაინტერესდა საკურორტო მომსახურების პრობლემებით. მან დაათვალიერა ჩოხატაურის აგროსამრეწველო კომპლექსის პიონერთა ბანაკი, სადაც ყოველწლიურად 300-ზე მეტი ბავშვი ისვენებს, ესაუბრა ბავშვებსა და კურორტის მომსახურე პერსონალს.

ჯ. ი. პატიაშვილთან ერთად იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ტ. ვ. ლორთქიფანიძე, დასავლეთ საქართველოს მთელი რიგი რაიონების პარტიული და საბჭოთა ორგანოების, რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები.

(საქინფორმი).

ჩაი — 88

მეჩაიეთა გადამწყვეტი პერიოდი

ჩვენი მიმოხილვა

დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკული რაიონების ჩაის პლანტაციებში დაძაბული მდგომარეობა კვლავ გრძელდება — ბუნება ჭირვეულობს. ხშირად კოკისპირულად წვიმს, წყალდიდობებია, რაც საშუალებას არ აძლევს მეჩაიეებსა და მეჩაიე-მექანიზატორებს შესაძლებლობის მაქსიმუმი გააკეთონ. არადა, მეორე ვეგეტაციის ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი უხვად არის შემოსული და თუ დროულად არ მოიკრიფა, დუყები გაუხეშდება, დანაკარგებიც იმატებს. ამიტომ ყველა მეჩაიემ უნდა იჩქაროს, დრო არ დაკარგოს, გარჯა არ დაიშუროს, რომ ხუთწლედის შუაგული — მესამე წლის დავალება უთუოდ შესრულდეს.

საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის ოპერატიული ინფორმაციით 12 ივლისისთვის სეზონის დაწყებიდან სულ მოკრეფილია და გადამამუშავებელ მრეწველობას ჩაბარდა 180.601,5 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც შარშან ამ დროისათვის მოკრეფილზე 52.522,5 ტონით ნაკლებია. წლიური გეგმა შესრულებულია 40.1, ხოლო ივლისისა — 28,3 პროცენტით. 11 ივლისს რესპუბლიკაში დამზადდა 4.224 ტონა ნედლეული.

მახარაძის რაიონში დღემდე სულ მოკრეფილია 33.467 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. მახარაძელმა მეჩაიეებმა ტემპს უმატეს. 11 ივლისს მოკრიფეს 710 ტონა ნედლეული. წლიური გეგმა შესრულებული აქვთ 43 პროცენტით, ხოლო ივლისისა — 28,9 პროცენტით. მართალია, ეს მაჩვენებლები რესპუბლიკურზე უფრო მეტია, მაგრამ ამით მეჩაიეები და მეჩაიე-მექანიზატორები თვითდამშვიდებას არ უნდა მიეცნენ, წლის გეგმის უთუო შესრულებისათვის მათ კვლავ დაძაბული შრომა მართებთ. აქვე დავძენთ, რომ ხარისხისთვის ბრძოლა რაიონის მეჩაიეებს ნომერ პირველ საბრძოლო პრობლემად დღემდე არ გაუხდიათ. ბევრ საზოგადოებრივ მეურნეობაში ჩაის ფოთოლს კვლავ უხეშად კრეფენ. ამიტომაც დამზადებულ ნედლეულში დაბალია პირველი ხარისხის ხვედრითი წილი (42,2 პროცენტი) და იგი რესპუბლიკურ მაჩვენებელს 7 პროცენტით ჩამორჩება.

ზუგდიდის რაიონში სულ დამზადებულია 22.883 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, გალში — 18.889, ქობულეთში — 16.458, ოჩამჩირეში — 14.477, წალენჯიხაში — 8.838, ჩხოროწყუში — 8.457, გეგეჭკორში — 9.927, ლანჩხუთში — 8.834, ხელვაჩაურში — 8.217, ჩოხატაურში — 5.425, ცხაკაიაში — 3.922, ქ. წყალტუბოს ზონაში — 3.776, ხობში — 4.079, ქ. ტყიბულის ზონაში — 3.439, წულუკიძეში — 3.156, გუდაუთაში — 2.419, სამტრედიაში — 1.101, გულრიფშში — 1.100, ვანში — 585, ქედაში — 4899,5, თერჯოლაში — 501, ქ. ჭიათურის ზონაში — 556, სოხუმში — 290, აბაშაში — 164 და ზესტაფონში — 52 ტონა.

ჩაის მაღალი ხარისხისათვის ბრძოლა დარგის მშრომელთა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. — ეს აზრი წითელ ზოლად გასდევდა წალენჯიხაში გამართულ მეჩაიეთა და ჩაის მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკურ თათბირს. რა გაკეთდა ამ მხრივ? მიუხედავად ამინდების ექსტრემალური პირობებისა, შარშანდელთან შედარებით წლეულს დამზადებულ ნედლეულში ნაზი ფრაქციის შემცველობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. გადიდდა უმაღლესი ხარისხის პროდუქციის გამოშვება, გაუმჯობესდა მისი გემო და არომატი. მაგრამ, როგორც იტყვიან ხოლმე, ეს ზღვაში წვეთია. ამით თვითდამშვიდებას არ უნდა მივეცეთ. ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. ამაზე მეტყველებს სახაგრომრეწვის 7 ივლისის ოპერატიული ინფორმაცია, რომ რესპუბლიკაში დამზადებულ ნედლეულში პირველი ხარისხის ხვედრითი წილი მხოლოდ 49,2 პროცენტს შეადგენს.

ვანში სულ დამზადებულ ნედლეულში პირველი ხარისხის ხვედრითმა წილმა 73,2 პროცენტი შეადგინა, ქ. ჭიათურის ზონაში — 63, ქობულეთში — 62,2, სამტრედიაში — 62,2, გალში 62, თერჯოლაში — 60,3 პროცენტი. ეს უამინდობის ჟამს კარგი მაჩვენებლებია, მაგრამ ყველგან ასე როდია. დღემდე რესპუბლიკურ მაჩვენებელს (თუმცა იგიც ძალიან მცირეა) 12 რაიონი ჩამორჩა. უამინდობა, დაძაბული შრომა არავითარ შემთხვევაში არ უნდა გახდეს ნედლეულის ხარისხისადმი ყურადღების მოდუნების მიზეზი. ქართული ჩაის არასასურველი ხარისხი, რის გამოც მომხმარებელი სამართლიან გულისწყრომას გამოთქვამს, ეს მარტო უამინდობას არ უნდა დავაბრალოთ, არამედ უპირველესად, ძირითადად გამოწვეულია კრეფის წესების დარღვევით. ამიტომ მკაცრი კონტროლი უნდა დაწესდეს ნედლეულის ხარისხისადმი.

„კომუნისტის" საგუშაგოში, რომელიც ქ. სამტრედიაშია შექმნილი, ყოველდღიურად მოდის სიგნალები, რომ ფაბრიკებში ჯერ კიდევ ხდება უხარისხო ნედლეულის მიღება. მრეწველობის მუშაკებმა კარგად იციან საბოლოოდ რა შედეგიც ექნება ამას, მაგრამ ჩვენც უნდა შევახსენოთ (რამოდენიმე დავბეჭდეთ კიდევაც), რომ კოკა ყოველთვის წყალს ვერ მოიტანს, უხეირო რისკს სავალალო შედეგი მოჰყვება. უკომპრომისო ბრძოლა უნდა გავაჩაღოთ ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც ოდნავადაც შეეცდება ქართული ჩაის პრესტიჟის შელახვას, ეს მეტად პრინციპული საკითხია.

ძვირფასო მეჩაიეებო და მეჩაიე-მექანიზატორებო! ივლისი ჩაის ფოთლის კრეფისა და მისი ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესების გადამწყვეტი თვეა. ახლა უამინდობის ძნელ პირობებში გვმართებს მეტი სიბეჯითე, შემართება, მინდობილ საქმისადმი დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა. ვკრიფოთ ჩაი შემოსვლისთანავე. არ გავაუხეშოთ არც ერთი დუყი. ვებრძოლოთ დანაკარგებს, უხარისხობას. ყველაფერი ვიღონოთ ხარისხის რადიკალური გაუმჯობესებისათვის, მაგრამ ხარისხთან ერთად რაოდენობაც აუცილებელია. მომთხოვნელობა და გერგილიანობა გვმართებს განსაკუთრებით ახლა, ამ გადამწყვეტ ეტაპზე.

ვ. ნოდია,
„კომუნისტის" სპეც. კორ.

მთელი ოჯახი—პლანტაციაში

ჩხოროწყუს რაიონის ზუმის კოლმეურნეობა „საქართველოს" ჩაის პლანტაციებში ნელი მურღულიას ოჯახი ახალი შემართებითა და იჯარის პრინციპით მუშაობს.

ნელის ხუთი შვილი ჰყავს — ლალი, ხათუნა, ლელა, ლიანა და ვალერი, რომლებიც დედასთან ერთად დილით ადრე გამოდიან სამუშაოდ. იჯარით მომუშავე ოჯახს გაპიროვნებული აქვს 1,5 ჰექტარი ჩაის პლანტაცია და საგეგმო დავალებით 10 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი უნდა მოკრიფოს. ისინი კი 15 ტონა ნედლეულისათვის იბრძვიან. ანაზღაურება ახლა კარგია და ოჯახიც კმაყოფილია შემოსავლით. ხოლო წლის ბოლოს მიიღებენ პრემიალურ დანამატსაც.

სურათზე: მურღულიების ოჯახი შესვენების დროს.

ბ. გოგოხიას ფოტო.

ფიქრები სკკპ XIX პარტიული კონფერენციის შემდეგ

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს მეფოლადე, სოციალისტური შრომის გმირი ოთარ ლომიძე ნახევარ საუკუნეს გადაბიჯებული კაცია. სამ ათეულ წელზე მეტია, რაც ამ საამქროში მუშაობს. იგი სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სკკპ და საქართველოს კომპარტიის ყრილობების დელეგატი, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, რესპუბლიკის მრეწველობის დამსახურებული მუშაკი, პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის წევრი, მეტალურგიული ქარხნის შრომითი კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ლენინის, შრომის წითელი დროშის, ოქტომბრის რევოლუციის ორდენების, მრავალი მედლის კავალერია...

საწარმოში შრომობს მისი ოჯახის ყველა წევრი: მეუღლე, ორი შვილი, სიძე. გაზეთ „კომუნისტის" კორესპონდენტი ამ კაცს თავის სამუშაო ადგილზე შეხვდა. მან თავად ისურვა გაგვიზიაროს საკუთარი მოსაზრებები.

გარდაქმნა ყველას უნდა შეეხოს

გულდასმით ვსწავლობ სკკპ XIX საკავშირო კონფერენციის მასალებს, რათა იგი გამოვიყენო ჩემს ყოველდღიურ მუშაობაში. პირდაპირ უნდა განვაცხადო: მაოცებს ის დიალოგი, ნამდვილი გულახდილი პარტიული სჯა-ბაასი, რომელიც კონფერენციაზე გაიმართა და რაც დღეს აწუხებს კომუნისტებს, ყველა საბჭოთა ადამიანს.

კონფერენციის თვალსაწიერიდან აღვიქვამ იმას, რაც უკანასკნელ სამ წელიწადში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის შემდეგ გაკეთდა. ეს განსაკუთრებით ნათლად იგრძნობა მშობლიური რუსთავის მაგალითზე. ქალაქის სამრეწველო კომპლექსი, რომელიც ერთ დროს ჩამორჩებოდა, ამჟამად გამართულად, უჩამორჩენლებოდ მუშაობს. ნახევარი წლის დავალება შესრულდა კონფერენციის გახსნის დღისათვის — 28 ივნისისათვის. მოწინავეთა შორისაა ჩემი მშობლიური საწარმო, მათ შორის ჩემი მარტენის საამქროც.

მაგრამ მარტო გეგმების შესრულება როდია გარდაქმნა. ახლა ვეკითხები ჩემს თავს: ნუთუ ყველაფერი ვიღონეთ გარდაქმნისათვის? ყველა რეზერვი ავამოქმედეთ? ამ კითხვების პასუხი ერთმნიშვნელოვანია: სრულიადაც არა. ჩვენი შრომის შედეგები გაცილებით უკეთესი იქნებოდა, რომ მიგვეღწია იმ რეზერვების ამოქმედებისათვის, რომლებიც საკმაოდ გაგვაჩნია.

ვერა და ვერ მოვაგვარეთ ახალგაზრდებთან მუშაობის საქმე. მათ აღზრდა-დაოსტატებას გულიანად ვერ მოვკიდეთ ხელი. ქალაქში გახსნილია პროფტექნიკური სასწავლებლები, საიდანაც უნდა ვიღებდეთ ახალ ცვლას, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით იქედან მოსულთა მესამედსაც ვერ ვინარჩუნებთ. შემდგომში რა იქნება, ვერ გეტყვით. არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ ამ სასწავლებლების დაკომპლექტება რთული საქმეა, ბავშვებს არ აქვთ იქ სწავლის სურვილი, ვერც მშობლები იმეტებენ შვილებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებიდან გამოსაყვანად. ხომ ცნობილია, რომ პროფტექგანათლების ქსელში ყველაფერი რიგზე არ არის. დაბალ დონეზეა სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობა, შეუფერებელია პედაგოგიური კოლექტივი და ოსტატები, შესაბამისად სუსტია დისციპლინა. არადა, ამ სისტემაში იზრდება და შემდგომშიც უნდა აღიზარდოს ჩვენი მომავალი ცვლა. მაშ, რატომ მეტი სითბოთი არ ვეკიდებით სასწავლებლებს, რომლებსაც კვლავაც საფაბრიკო-საქარხნო სკოლების დაღი ასვია, რატომ არ ვიჩენთ მეტ მომთხოვნელობას, რათა ძირეულად გარდავქმნათ იქ მუშაობა? რამდენიმე წლის წინ ხომ სწორედ ასე იყო. მე, პირადად, ეს სასწავლებელი დავამთავრე 1957 წელს. ჩვენი აღმზრდელები მკაცრი მომთხოვნენი იყვნენ. სასწავლებელში ბევრი რამ შევიძინე, ვისწავლე ცხოვრება, იქ მივიღე პირველი მუშური ნათლობა. უკანასკნელ წლებში სწორედ ეს მთავარი — მომთხოვნელობა აღარ არის და ამან მიგვიყვანა სავალალო მდგომარეობამდე. ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით ამ სასწავლებლების ვითომდა ავტორიტეტის ამაღლების მიზნით, ვინც მას წარჩინებით დაამთავრებს, უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვისათვის მხოლოდ ერთ გამოცდას აბარებს, ან გასაუბრებას გადის. ასეთმა ვითარებამ ავტორიტეტი კი არ მოუწია, პირიქით, სახელი გაუტეხა სასწავლებლებს. წარჩინების დიპლომებს იღებენ არა ბეჯითი სწავლით, არამედ სხვადასხვა მაქინაციებით, არაკეთილსინდისიერი გზით. შემდგომში უმაღლეს სასწავლებლებში კიდეც რომ ვერ მოხვდნენ საწარმოში მუშაობას სათოფედ არ ეკარებიან.

ჩვენც ბევრს ვცოდავთ... მოვიდა ახალგაზრდა საწარმოში... მათ გულგრილად ვხვდებით, ალმაცერადაც კი ვუყურებთ, ვერ ვიცლით იმისათვის, რომ გამოველაპარაკოთ, გავამხნევოთ, გული გავუთბოთ და პროფესია შევაყვაროთ, ყველაფერი მოვიმოქმედოთ, რათა თვალი საწარმოდან გაქცევაზე არ ეჭიროთ.

ახლახან ჩვენს საამქროში დიდი სამუშაოები შესრულდა, რეკონსტრუქცია ჩაუტარდა ყველა ფოლადსადნობ ღუმელს. რვა ღუმელია საამქროში, მაგრამ სამრეწველო ესთეტიკაზე მაინც მეტი ზრუნვაა საჭირო. ჩვენი სასადილოც განახლდა, საშხაპეებიც ჩინებულად მოეწყო, მაგრამ სათანადოდ ვერ ვუვლით. გამოჩნდება ვინმე და კედლიდან კაფელს ჩამოხსნის, ელნათურას მოიპარავს, ონკანს მოაძრობს... ოო, სირცხვილო, განა ეს წვრილმანია? რატომ ვერ მოვიშალეთ ასეთი სამარცხვინო ჩვევები? იმიტომ, რომ აღზრდა აკლიათ ადამიანებს, მათში კვლავაც ბუდობს წვრილმანი მესაკუთრის, წამგლეჯის სული. არ იფიქროთ ასეთი მარტო ჩვენს საამქროში ხდებოდეს, სამწუხაროდ, ასე ხდება სხვაგანაც.

მუშახელის ნაკლებობის შიშიც დაგვჩემდა. ამიტომ, ოღონდ ვინმე მოვიდეს და კარი ღია გვაქვს. ერთხელ პრესაში წავიკითხე; კასპის ცემენტის ქარხნის მუშებს ოჯახებში ეძებენ, მსუბუქი მანქანებით აკითხავენო, ზოგიერთი თუნდაც რამდენიმე საათით მოვიდეს და არ ჩივიან; ამიტომ ზოგჯერ სამუშაოზე ვიღებთ ისეთს, რომ არ ვკითხულობთ ვინ მოდის, რას წარმოადგენს, რისი უნარი შესწევს. მერე ეს ყოველივე ძვირად გვიჯდება, იძულებული ვართ წლობით შევინახოთ უქნარა. ამ უკანასკნელმაც იცის, რომ მუშახელის გაჭირვება გვაქვს და მომენტით სარგებლობს. ასეთები გულს უტეხენ მშრომელ ადამიანებსაც, რადგან ისინი მათ ხარჯზე გადიან. კოლექტიური იჯარის დანერგვამდე მათ თანაბრადაც იღებდნენ გასამრჯელოს: მეორე უკიდურესობაც გვჭირს: ახალგაზრდას თუ შენიშვნას მისცემ, როგორი სამართლიანიც არ უნდა იყოს, იგი, იქვე დაგემუქრება, თუ არ მოგწონვარ ავდგები და წავალო. ასეთები, ცხადია, უნდა წავიდნენ, მათ არ უნდა ვაკავებდეთ, მაგრამ რას იზამ უკეთესი რომ არ გვყავს. აი, სად იჩენს თავს მუშათა სწორი აღზრდის შეუფასებლობა. ამჟამად ჩვენს საწარმოში 12 ათასამდე კაცი მუშაობს. ეს დიდი ძალაა... უცხოეთის ვერცერთ ქვეყანაში ვერ ნახავთ ამდენი ადამიანი მუშაობდეს ასეთივე მოცულობის საწარმოში. ეს ტექნიკის დაბალ დონეზეც მეტყველებს. ჩვენი გამომგონებლები ნერგავენ მრავალ სიახლეს, რაციონალიზატორები აუმჯობესებენ მოწყობილობებს, იწერება პატაკები დაიზოგა ამდენი და ამდენი ათასი მანეთიო. მერე და ჩანს ეს დანაზოგი? ჩვენ გვაქვს ავტომატიზაციისა და მექანიზაციის ცენტრალური ლაბორატორია. თავისი შინაარსით იგი მართლაც მეცნიერული კვლევის ცენტრი უნდა იყოს. მაგრამ აქაც ვერ ვიყენებთ არსებულ რეზერვებსა და შესაძლებლობებს. ამ საკითხს ახლა სხვანაირად ვაფასებთ: საჭიროა ყველა სპეციალისტისა და მუშის აქტივიზაცია.

გათვალისწინებულია საწარმოს სრული განახლებაც.

მომავალ წელს დაიწყება ელექტროფოლადსადნობი საამქროს მშენებლობა, სადაც ყველა პროცესი ავტომატიზებული იქნება, განხორციელდება ფოლადის გამოდნობის უწყვეტი ციკლი. ეს მნიშვნელოვნად გაზრდის შრომის ნაყოფიერებას, გამოათავისუფლებს ორი ათასამდე კაცს, გააუმჯობესებს ეკოლოგიურ მდგომარეობას, მაგრამ წინასწარ ვგრძნობ, ამ გზაზე დიდი დაბრკოლებები გველოდება.

ახლა გაცილებით მეტი კეთდება მეტალურგთა საკეთილდღეოდ. ზოგიერთი საერთო საცხოვრებელი კომფორტით არ ჩამოუვარდება საუკეთესო სასტუმროებს. გვაქვს კეთილმოწყობილი კვების ობიექტები, მაგრამ პრობლემები მაინც საკმაოდაა. ადამიანები წლობით დგანან ბინის მიღების რიგში. არადა, ახალგაზრდა კაცს, განსაკუთრებით ახალდაოჯახებულს პირველ რიგში ესაჭიროება ბინა.

გვაწუხებს ქალაქის სატკივარიც. რუსთავს ბოლო წლებში დიდი ცვლილებები დაეტყო და ამას ჩამოსული სტუმარი განსაკუთრებით ამჩნევს. გამრავლდა სკვერები, სპორტული მოედნები, ბავშვთა სამკურნალო და დასვენების კერები, აშენდა ახალი საცხოვრებელი სახლები, გაჩნდა ახალი ქუჩები. დიდად განტვირთა ქალაქის ცენტრალური მაგისტრალი ახალმა გზა-ხიდმა, მაგრამ გვსურს მეტ წესრიგში იყოს. ჩვენი საცხოვრებელი კვარტალები და ქუჩები, შესანიშნავი არქიტექტურული ნაგებობანი დამახინჯებულია უხეირო, ულაზათო, თვითნებური მინაშენებით. ზოგიერთ სახლში მცხოვრებლებმა ლიფტის შახტები გამოანგრიეს და თავიანთი საცხოვრებელი ბინები გააფართოვეს, ნაგავს კი ყველგან ყრიან, სადაც მოეხასიათებათ. ეს ხომ ჩვენს თვალწინ, ყველას თვალწინ ხდება, მაგრამ აქაც თვალს ვხუჭავთ. განსაკუთრებით კი თვალს ხუჭავენ ისინი, ვისაც უშუალოდ ეხება ეს საქმე: შინაგან საქმეთა განყოფილების უბნის რწმუნებულები, საბინაო სამმართველოს მუშაკები, რომლებიც ყოველივეს გულდამშვიდებით შეჰყურებენ.

არის სხვა პრობლემებიც. ზედმეტია ნორმალურ საყოფაცხოვრებო მომსახურებაზე ლაპარაკი. ამ ობიექტებზე, აგრეთვე ავტოტექმომსახურების სადგურებში ხომ ერთიანად ყვლეფენ მოქალაქეებს. როგორც მთელს ჩვენს ქვეყანაში, ასევე რუსთავში, ფართოდ ვითარდება კოოპერაციული მოძრაობა, მაგრამ მან ამთავითვე მახინჯი ხასიათი მიიღო! კოოპერატივთა უმეტესობა თავად არაფერს აწარმოებს, ყიდულობენ იაფად სახელმწიფო ორგანიზაციებში საქონელს და მამასისხლად ჰყიდიან, რასაც ვერ მიწვდება რუსთაველი მუშა.

ყველა ამ საკითხს, რომელიც მე დავაყენე, სერიოზული ჩაფიქრება და გადაწყვეტა უნდა. საამისოდ ახლა პროგრამაც გაგვაჩნია, რომელიც სკკპ XIX კონფერენციამ შეიმუშავა, მხოლოდ საჭიროა პარტიული ორგანიზაციების, ყველა მშრომელის გააქტიურება, მათი ძალისხმევის წარმართვა დასახული დიადი მიზნების განსახორციელებლად. მაშინ გარდაქმნაც უზრუნველყოფილი იქნება.

ო. ლომიძე,
რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს მეფოლადე, სოციალისტური შრომის გმირი.

ორი თვალსაზრისი ერთ საკითხზე

თქვენ თვითონ განსაჯეთ

შარშან პირველ სექტემბერს გაზეთ „კომუნისტში" დაიბეჭდა ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის ო. პეტრიაშვილის სტატია სათაურით: „ვინ მოამზადებს ეკონომისტ-მათემატიკოსებს". მასში ლაპარაკი იყო ეკონომისტ-მათემატიკოსების მომზადების დონის ამაღლებაზე, სახალხო მეურნეობაში მათემატიკური მეთოდებისა და გამოთვლითი ტექნიკის გამოყენების ეფექტიანობაზე, კომპლექსური დარგთაშორისი მეცნიერულ-ტექნიკური ცენტრების შექმნაზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში.

გამოქვეყნებულ სტატიასთან დაკავშირებით ჩვენმა რედაქციამ მიიღო მეცნიერ ეკონომისტთა გამოხმაურება, რომლის შინაარსიც წინასწარ ვაცანით ო. პეტრიაშვილს. ო. პეტრიაშვილმა თავის მხრივ ამ გამოხმაურებას კვლავ გასცა პასუხი.

დღეს გთავაზობთ ამ გამოხმაურებისა და ო. პეტრიაშვილის პასუხის ტექსტებს. ორივე წერილი იბეჭდება მათი სტილის სრული დაცვით. დაე მკითხველმა თვითონ იმსჯელოს ამ წერილების ავკარგზე.

მანამდე კი მკითხველს შევახსენებთ იმის შესახებ, რომ ეკონომიკური კადრების მომზადებაზე ლაპარაკი იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1988 წლის იანვრის პლენუმზე. კერძოდ, აღინიშნა: „რამდენი უმაღლესი სასწავლებელი გვაქვს, რომლებიც ეკონომიკურ კადრებს ამზადებენ... ეკონომისტთა კვალიფიკაცია კი წლითიწლობით უარესდება... რაოდენობრივ მაჩვენებლებს გამოდევნებულ უმაღლეს სკოლას შესამჩნევად გამორჩა მხედველობიდან სტუდენტთა სწავლების ხარისხი. მარტო უნივერსიტეტიდან რესპუბლიკა ყოველწლიურად იღებს ათასამდე ეკონომისტს, რამაც, ერთი შეხედვით, მკვეთრად უნდა გააძლიეროს სახალხო მეურნეობის ეკონომიკური პოტენციალი, მაგრამ სინამდვილეში ასე არ ხდება".

დეზინფორმაცია და უპასუხისმგებლობა

ჩვენი ეკონომიკა მეტად რთულ პერიოდში იმყოფება, ხორციელდება სახალხო მეურნეობის მართვის სისტემის რადიკალური რეფორმა. მთელი რიგი საწარმოები და დარგები გადადიან მუშაობის ახალ პირობებზე. ეს პროცესი ბევრ სიძნელესთან და სიახლესთან არის დაკავშირებული. სამეურნეო მუშაკებს დახმარება სჭირდებათ ბევრ გადაუჭრელ საკითხში, რეკომენდაციებისა და რჩევა დარიგების, პრაქტიკული დახმარების თვალსაზრისით. ამ საქმეში დიდი როლის შესრულება შეუძლია პრესას, რომელიც თავის ფურცლებზე ხშირად უნდა აშუქებდეს საკონსულტაციო მასალას სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის საკითხებზე, ისე როგორც ამას ცენტრალური პრესა აკეთებს. მაგრამ რესპუბლიკური გაზეთები სათანადო დაინტერესებას ვერ იჩენენ ამ საქმეში, არ იზიდავენ კვალიფიციურ ავტორებს, არ უკვეთავენ სათანადო წერილებს რეფორმის რთულ პრობლემებზე, ამიტომ იშვიათია კვალიფიციური ავტორობით შესრულებული წერილების რიცხვი. სამაგიეროდ არის შემთხვევები, როდესაც გაზეთში დაბეჭდილ სტატიათა ავტორებად გვევლინებიან ნაკლებ ავტორიტეტული, არაკომპეტენტური პირები, რომლებიც არაკვალიფიციური მასალით დამატებით სიძნელეებს ქმნიან ისედაც რთული მოვლენების გაშუქებაში, შეცდომაში შეჰყავთ მკითხველი და ამით დახმარების ნაცვლად ხელს უშლიან რთული საკითხების გარკვევაში. როგორც ჩანს, გაზეთის მუშაკებიც ნაკლებ პასუხისმგებლობას იჩენენ ამ საქმეში, ნაცვლად იმისა, რომ კარგად შეამოწმონ შემთხვევითი ავტორის მასალა, გაუკეთონ მას კვალიფიციური რეცენზირება, საკუთარ ინტუიციას ეყრდნობიან და მკითხველს სახელდახელოდ შეკოწიწებულ არაკვალიფიციურ მასალას აწვდიან. ამასთან გაკვირვებას იწვევს ისიც, რომ ასეთ სტატიას მეტად პრეტენზიული რუბრიკით აშუქებენ და პასუხს სახელმწიფო ორგანოებს სთხოვენ.

ასეთ სტატიებს მიეკუთვნება გაზეთ „კომუნისტის" 1987 წლის პირველი სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებული ო. პეტრიაშვილის წერილი — „ვინ მოამზადებს ეკონომისტ-მათემატიკოსებს?" ამ სტატიაზე დაყრდნობით პრეტენზიული კითხვით მიმართავს რედაქცია საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს.

რადგან სათაური შინაარსს ბევრად არის დაცილებული ჯერ სათაურში დასმულ კითხვას ვუპასუხებთ, რომ ეკონომისტ-მათემატიკოსებს უკვე ოც წელზე მეტია ამზადებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და პირველი გამოშვება 1970 წელს შედგა, ეს საყოველთაოდ ცნობილი ამბავია და უკვე 200-ზე მეტი კურსდამთავრებული (მათ შორის 20-ზე მეტი მეცნიერებათა კანდიდატი) წარმატებით მოღვაწეობს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში, მათ შორის იმავე ინსტიტუტშიც, სადაც თვით სტატიის ავტორი მუშაობს, სადაც ყოველწლიურად 6-თვიან პრაქტიკას გადიან ამავე სპეციალობის სტუდენტები. სხვას რომ თავი დავანებოთ, სანამ ავტორი ამ საკითხზე სტატიის წერას შეუდგებოდა ერთხელ მაინც რომ დაინტერესებულიყო ამ საკითხით, გაზეთის გარეშეც ადვილად შეიტყობდა იმას, რომ ასეთი სპეციალისტები არა მარტო ჩვენთან, არამედ 60-იანი წლებიდან უკვე მზადდება სხვა მოკავშირე რესპუბლიკებშიც. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ავტორს მათი მომზადების დონე არ მოსწონს, მაგრამ ამის შესახებ ერთი სიტყვაც არ არის მითითებული სტატიაში.

რაც შეეხება ავტორის მიერ დასმულ კითხვებს თუ ამ სპეციალისტებს „რით და როგორ ვასწავლით? ვინ ასწავლის? რამდენად შეესაბამება სასწავლო პროგრამების შინაარსი თანამედროვე ეკონომიკურ, ეკონომიკურ-მათემატიკურ და მათემატიკურ მეცნიერებათა მდგომარეობას?" ყველაფერი ეს საკმაოდ კარგად არის ცნობილი და თუ მობრძანდება შესაბამის კათედრაზე საკმაოდ ამომწურავ პასუხს მიიღებს.

მეტად სამწუხაროა, რომ საქმეში ჩაუხედავ მკითხველს ო. პეტრიაშვილის სტატიის წაკითხვის შემდეგ მცდარი წარმოდგენა ექმნება ეკონომისტ-მათემატიკოსების მომზადების და საერთოდ, ეკონომიკაში ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების გამოყენების შესახებ. ამიტომ ჩვენ უფრო გაზეთის მუშაკთა უყურადღებობა გვაკვირვებს, ვიდრე სტატიის ავტორის უპასუხისმგებლობა, რადგან ამ სტატიის მასალის გაცნობით ჩვეულებრივი მკითხველიც კი დარწმუნდება იმაში, რომ დაბალი პროფესიულობის გარდა სერიოზულ რედაქციულ უზუსტობასთან გვაქვს საქმე; წერილის ყოველი აბზაცი, თითქმის ყოველი წინადადება არაზუსტია და ერთმანეთთან ლოგიკურად დაუკავშირებელია. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს, ავტორი წერს: „დღეისათვის გავრცელებულია ორი დიამეტრულად საწინააღმდეგო აზრი — ერთნი ამტკიცებენ, რომ შეუძლებელია და არც არის მიზანშეწონილი ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების გამოყენება მეცნიერებასა და სამეურნეო პრაქტიკაში, მეორენი კი მოითხოვენ სახალხო-სამეურნეო პროცესების ფორმალიზაციასა და მართვაში მის აბსოლუტურ გამოყენებას". რომ არაფერი ვთქვათ ამ წინადადების ცუდ რედაქტირებაზე, აზრობრივად იგი აშკარად მცდარ ინფორმაციას სთავაზობს მკითხველს, რადგან ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების შესახებ ასეთი უკიდურესი აზრები არ დაბადებია სპეციალისტებს ამ მიმართულების განვითარების გარიჟრაჟზეც კი. ახლა ძნელად მოიძებნება ამ საქმის დილეტანტიც, რომელიც რომელიმე მათგანს იზიარებდეს. ბუნდოვანია ავტორის მტკიცება იმის შესახებ, რომ „ბრუნვის გადასახადიდან მიღებული შემოსავლით გათვლის არსებული მეთოდიკა პერსპექტიული დაგეგმვისათვის გამოუსადეგარი გახდა. დიდძალი ახალ სახეობათა საქონელი, ბევრ საქონელზე მოთხოვნილების მკვეთრი ცვალებადობა, ბრუნვის გადასახადის გათვლის მეთოდები, გაუთვალისწინებელი ცვლილებები და სხვა მიზეზები საშუალებას არ იძლევა საკმარისი მიახლოებით შეფასდეს ბრუნვის გადასახადიდან შემოსავლის ოდენობა პერსპექტივაში". ალბათ ჩვეულებრივი მკითხველიც კი დარწმუნდება თუ რამდენად ბუნდოვანი და დაულაგებელია ავტორის აზრები, ავტორი გულისტკივილს გამოთქვამს იმის შესახებ, რომ „არ არსებობს ერთიანი პრაქტიკული ხასიათის მეთოდიკა, რომელშიც მათემატიკურად დამუშავებული და გადმოცემული იქნებოდა ის რიცხვითი მეთოდები, რომლებიც საფუძველს მოგვცემდა მოდელირებისა და პროგნოზირების თეორიული შედეგები ხელმისაწვდომი გაგვეხადა ინჟინრისა და ეკონომისტისათვის". რედაქციული უზუსტობის გარდა ავტორს უნდა ვაცნობოთ, რომ მისი გულისტკივილი უსაფუძვლოა, რადგან ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირებისა და პროგნოზირების თეორიული შედეგები მხოლოდ ნაწილობრივ ეყრდნობა რიცხვით მეთოდებს, რომ აქ გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია მათემატიკის სხვა ნაწილები, რომლებიც საკმაოდ საფუძვლიანად და კომპლექსურად არის აღწერილი როგორც საბჭოთა, ისე უცხოურ ლიტერატურაში.

სტატიიდან აშკარად ჩანს, რომ ავტორი ვერ ერკვევა ისეთ ეკონომიკურ კატეგორიებში როგორიცაა მოგება, თვითღირებულება, სახელმწიფო შემოსავლები, წარმოების ეფექტიანობა და სხვა, თორემ ასე კატეგორიულად არ მოითხოვდა „ადეკვატურად აღმწერი მოდელების შექმნას!?" ან კიდევ იმას, რომ ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდის „მეცნიერული სიღრმე და რეალურობა დამოკიდებულია... მკვლევარის პროფესიულ ოსტატობაზე".

ავტორი გვთავაზობს, რომ რესპუბლიკაში მიზანშეწონილია „დარგთაშორისი სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრის შექმნა, მისი უშუალო კოორდინირება და ხელმძღვანელობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ ან მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა უნდა იკისროს"-ო, აქაც უნდა ვაცნობოთ, რომ ასეთი საკოორდინაციო საბჭო უკვე დიდი ხანია შექმნილია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან (თავმჯდომარე აკადემიკოსი ნ. პ. ფედორენკო) და მისი სექციები ფუნქციონირებს როგორც საქართველოში, ისე სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში. სხვათა შორის ამ სექციის სწავლული მდივანი იყო აწ განსვენებული პროფ. მ. კეკელიძე იმ ინსტიტუტის განყოფილების გამგე, რომელშიც თვით სტატიის ავტორი მოღვაწეობს.

სტატიაში ვკითხულობთ „ხანგრძლივი პერსპექტიული დაგეგმვის დროს შეუძლებელია გავითვალისწინოთ ყველა ფაქტორი, რომელიც მოქმედებს ბიუჯეტის მაჩვენებლებზე" ან კიდევ „პერსპექტული დაგეგმვისათვის პერსპექტული ბიუჯეტი მიუღებელია" და სხვა. ეს წინადადებები, ვფიქრობთ, კომენტარს არ საჭიროებს.

ასეთი დაუზუსტებელი, ბუნდოვანი, არაკომპეტენტური და ანბანური ჭეშმარიტების შემცველი ადგილების ჩამოთვლა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ იგი შორს წაგვიყვანდა, ვფიქრობთ, რომ ამდენი ყურადღების ღირსი არ არის აღნიშნული სტატია, სამწუხაროა, ის, რომ მისი ავტორი საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო-მეურნეობის ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის იმ სექტორს ხელმძღვანელობს, რომელიც კვლევის მიმართულებით მჭიდროდ უნდა უკავშირდებოდეს ზემოაღნიშნულ საკითხებს, ამიტომ სწორედ მას არ ეპატიება ასეთი დეზინფორმაციული ხასიათის წერილების წერა. ალბათ, ერთ-ერთი მიზეზი მისი გულისტკივილისა, რომ „ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების სფეროში დღეისათვის გადაუჭრელია თეორიული, ორგანიზაციული და პრაქტიკული ხასიათის უამრავი პრობლემა" ისიც არის, რომ ამ რთულ საქმეს ხელი მოჰკიდა ბევრმა არაკომპეტენტურმა პირმა, რომლებიც დამატებით პრობლემებს ქმნიან ამ გზაზე.

დასასრულს გვინდა გაზეთის რედაქციას მივმართოთ შეკითხვით: ვის სჭირდება დღეს ასეთი სტატია?

დ. ძნელაძე,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მართვის საფუძვლებისა და სამრეწველო წარმოების ეკონომიკის და ორგანიზაციის კათედრის გამგე, პროფესორი;

ჯ. იოსავა,
ეკონომიკური კიბერნეტიკის კათედრის გამგე, დოცენტი;

თ. ბარამიძე,
ეკონომიკური ინფორმაციის მექანიზებული დამუშავების ორგანიზაციის კათედრის გამგე, დოცენტი.

უწყებრივი არაკეთილგანწყობილება

სკკპ XXVII ყრილობაზე ამხ. მ. ს. გორბაჩოვმა თავის პოლიტიკურ მოხსენებაში ბრძანა: „ახლისადმი დამოკიდებულებას ხშირად საფუძვლად უდევს მეცნიერთა ცალკეული ჯგუფების ამბიციები, „სხვისი" გამოგონებისადმი უწყებრივი არაკეთილგანწყობილება".

პატივცემული ავტორების წერილი „დეზინფორმაცია და უპასუხისმგებლობა" სწორედ ასეთი „არაკეთილგანწყობილების" ნათელი მაგალითია.

საკითხი იმის შესახებ თუ „ვინ მოამზადებს ეკონომისტ-მათემატიკოსებს?" ადრეც გვქონდა დასმული სტატიაში „კატალიზატორია ინფორმაციის ინდუსტრია" („კომუნისტი", 30.08. 1986). პირობითად ვუწოდოთ მას პირველი წერილი. ზემოთ დასმულ კითხვაზე ამ წერილში ასეთ აზრს გამოვთქვამდით: „ხომ არ იქნება მიზანშეწონილი უნივერსიტეტში საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის ნაცვლად (ან მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, როგორც სპეციალობა) გვქონდეს მათემატიკური ეკონომიკის ფაკულტეტი, რომლის კურსდამთავრებულები დაუფლებული იქნებიან სოციალისტური წარმოების ოპტიმიზაციის მეთოდებს და, საერთოდ, წარმოების ორგანიზაციის მართვისა და დაგეგმვის მათემატიკურ მეთოდებს". იგივე აზრს უფრო კატეგორიულად გამოვხატავდით სარეცენზიო წერილში, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი გაზეთში ვერ მოხვდა, რის გამოც წერილის სათაური და შინაარსი რამდენადმე დაშორდა ერთმანეთს. ამას ოპონენტებიც სამართლიანად შენიშნავენ.

პირველი წერილის გამოქვეყნებიდან რამდენიმე თვის შემდეგ ჟურნალში „ეკონომიჩესკიე ნაუკი" (№ 1, 1987) დაიბეჭდა ლენინგრადის ა. ჟდანოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე გამართული „მრგვალი მაგიდის" მასალები. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნ. ვორობიოვი ამბობს, რომ ეკონომისტ-მათემატიკოსთა კადრების მომზადების საქმეში სერიოზულ დაბრკოლებად რჩება სტუდენტთა კონტინგენტისათვის **მათემატიკის სწავლების ფორმა და შინაარსი. უმაღლესი მათემატიკის სასწავლო გეგმები თავისი სტრუქტურითა და შინაარსით ძალზე ახლოს დგას** ტრადიციულ საინჟინრო-ტექნიკური სპეციალობებისათვის გათვალისწინებულ ანალოგიურ გეგმებთან, ხოლო უფრო სპეციალურ, ასე თუ ისე **მათემატიკური კურსის სწავლება** უფრო მეტად გამოდის **პროფესიონალ მათემატიკოსთა** კონტროლის არედან. ამის შედეგია ის, რომ სტუდენტები ღებულობენ მეტად შეზღუდულ წარმოდგენას მათემატიკაზე და მისი გამოყენების შესაძლებლობაზე საერთოდ (ხაზგასმა ყველგან ჩემია — ო. პ.).

იგივე ჟურნალში (№ 10, 1986) ეკონომისტი, დოცენტი გ. სემიონოვი „მაღალკვალიფიციური ეკონომისტ-მათემატიკოსების მომზადების **პრობლემის**" (ხაზგასმა ჩემია — ო. პ.) გადასაწყვეტად მოითხოვს პრაქტიკულ პასუხს სარეცენზიო წერილში დასმულ ანალოგიურ ზოგიერთ კითხვაზე.

როგორც ცხადად ჩანს, ჩვენი ქვეყნის მასშტაბით პრობლემად ქცეულა მაღალკვალიფიციური ეკონომისტ-მათემატიკოსების მომზადების საქმე. რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენს რესპუბლიკაში? ჩვენთან თურმე ყველაფერი კარგად არის და საგანგაშო არაფერი გვჭირს. ის კი არა „თუ მობრძანდებით შესაბამის კათედრაზე საკმაოდ ამომწურავ პასუხსაც მიიღებთ" — კიდევ უფრო გვამშვიდებენ უნივერსიტეტის კათედრის გამგეები. მე მინდა ვურჩიო „მრგვალი მაგიდის" ლენინგრადელ კოლეგებს: რას იხეთქავთ თავს ამდენი ფიქრით და კამათით, ჩამობრძანდით აქ, ჩვენთან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, და მაგ პრობლემებზე „საკმაოდ ამომწურავ პასუხს მიიღებთ".

ოპონენტები შედავებიან, რომ კადრების მომზადების დონის შესახებ თურმე „ერთი სიტყვაც არ არის მითითებული სტატიაში". მე კი აი რას ვწერ: „ბევრი რამ არის გასაკეთებელი... **მაღალკვალიფიციური** ეკონომისტ მათემატიკოსების მომზადების გაუმჯობესების დასაჩქარებლად", და კიდევ: „დღეისათვის ძალზე მტკივნეულ საკითხად მიგვაჩნია **მაღალკვალიფიციური** ეკონომისტ-მათემატიკოსების მომზადების საქმე არა მარტო ჩვენი რესპუბლიკის, არამედ კავშირის მასშტაბითაც კი". და იქვე მომდევნო სტრიქონში ვამბობ: „ჩვენს რესპუბლიკაში **ასეთი** კადრები დღეისათვის, სამწუხაროდ, არ მზადდება". მაშასადამე საკითხი ეხებოდა არა რაოდენობრიობას (ეკონომისტ-მათემატიკოსის სპეციალობით კადრების მომზადებას საერთოდ), არამედ თვისობრიობას (კადრების მომზადებისა და სწავლების დონეს). იმის გამო, რომ ოპონენტები თანამდებობრივად არიან დაკავშირებული ეკონომისტ-მათემატიკოსების მომზადებასთან, ისინი იმდენად გაანაწყენა სარეცენზიო წერილმა, რომ მეცნიერული პაექრობის ყოველგვარი საზღვრები დაარღვიეს. მეცნიერმა არ უნდა იკადროს აზრების ხელოვნური დამახინჯება. ფაქტები? კი ბატონო! ჯერ ერთი, სტატიაში არსად „კატეგორიულად არ მოვითხოვ ადეკვატურად აღმწერი მოდელების შექმნას". ეს არ არის სწორი! და მეორე, რომ მომეთხოვა კიდევაც, განა ეს იმის საფუძვლად გამოდგება, რომ მე ვერ ვერკვევი ზოგიერთ ეკონომიკურ კატეგორიებში (მოგება, თვითღირებულება და სხვ.)? საიდან სადაო? ისე, კარგი იქნება თუ ენციკლოპედიაში ჩაიხედავთ და სიტყვა „ადეკვატურის" მნიშვნელობას ნახავთ. ამ საკითხში ჩემი გაურკვევლობის მეორე მიზეზად ოპონენტებს მიაჩნიათ შემდეგი აზრი: „ეკონომიკურ მათემატიკური მეთოდის მეცნიერული სიღრმე და რეალურობა დამოკიდებულია.... მკვლევარის პროფესიულ ოსტატობაზე". ჯერ ერთი, ეს წინადადებაც არ გაძლევთ ასეთი დასკვნის გამოტანის საფუძველს; და მეორე, წინადადება დამახინჯებულია. ამ წინადადებაში თუ სამი წერტილის ნაცვლად მკითხველი ჩასვამს ყველა იმ სიტყვას, რაც სარეცენზიო წერილშია, მაშინ ოპონენტებს ღია კარის მტვრევა მოუწევთ.

ამხ. მ. ს. გორბაჩოვი ამბობს: „ძალზე ეფექტიანია კომპლექსური დარგთაშორისი მეცნიერულ-ტექნიკური ცენტრების შექმნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში". სარეცენზიო წერილში მოტანილი ეს სიტყვები ოპონენტებმა მე მომაწერეს და გადმოვიდნენ შეტევაზე: „დარგთაშორისი სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრის შექმნას", რომელსაც ავტორი (ე. ი. მე — ო. პ.) გვთავაზობს, აზრი არა აქვს, რადგანაც „ასეთი საკოორდინაციო საბჭო უკვე დიდი ხანია შექმნილია". ჯერ ერთი, გაოცებას იწვევს ის ფაქტი, რომ ჩვენი პარტიის ლიდერის სიტყვები ვერ გაგირჩევიათ „შემთხვევითი ავტორის ბუნდოვანი და დაულაგებელი აზრებისაგან". ხოლო მეორე „დარგთაშორისი მეცნიერულ-ტექნიკური ცენტრი" იგივე გგონიათ რაც „საკოორდინაციო საბჭო". უნივერსიტეტის კათედრის გამგის სავარძელში ჯდომა, მით უმეტეს თუ პარალელურად სხვაგან დირექტორის თანამდებობაც გიჭირავს, უფრო მეტ კვალიფიციურობასა და პასუხისმგებლობას ხომ არ მოითხოვს?

მინდა მკითხველს ვაუწყო, რომ სარეცენზიო წერილში ჩვენს მიერ დასმული მეცნიერულ-ტექნიკური ცენტრის შექმნის ანალოგიური საკითხი წამოჭრა აგრეთვე ჟურნალმა „ეკონომიჩესკიე ნაუკი" (№ 10, 1986).

მინდა ვთხოვო უნივერსიტეტის პატივცემულ ლექტორებს ორი შეკითხვის ნება მომცენ: ნუთუ ხანგრძლივი პერსპექტიული დაგეგმვის დროს შესაძლებლად მიგაჩნიათ გაითვალისწინოთ ყველა ფაქტორი, რომელიც მოქმედებს ბიუჯეტის მაჩვენებლებზე? და მეორე, ნუთუ პერსპექტიული ეკონომიკური და სოციალური დაგეგმვისათვის პერსპექტიული ბიუჯეტი მისაღებად მიგაჩნიათ? შეიძლება მე, სპეციალობით მათემატიკოსი, შევცდე, მაგრამ თქვენ, ეკონომისტებს, ამ კითხვებზე პასუხის გაცემა არ უნდა გეძნელებოდეთ.

ახლა კი დროა მივუშველოთ „საქმეში ჩაუხედავ მკითხველს", რომელსაც ჩემი წერილის წაკითხვის შემდეგ „მცდარი წარმოდგენა შეექმნა საერთოდ ეკონომიკაში ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების გამოყენების შესახებ", თორემ „ჩვეულებრივ მკითხველს" რა უჭირს, იგი მაშინვე „დარწმუნდება იმაში, რომ დაბალი პროფესიულობის გარდა სერიოზულ რედაქციულ უზუსტობასთან აქვს საქმე". რა საერთო და განმასხვავებელი ნიშნები ახასიათებს „საქმეში ჩაუხედავ მკითხველსა" და ჩვეულებრივ მკითხველს", ამას მე ვერ ვუპასუხებ და გთხოვთ მაპატიოთ. ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების გამოყენების შესახებ აზრთა სხვაობა რომ დღესაც არსებობს, ეს პატივცემულ ოპონენტებს ასე არ გააოცებდათ, ისინი რომ სათანადოდ იცნობდნენ მათი სპეციალობით გამოსულ სამეცნიერო ლიტერატურას. მე არ ვიცი ოპონენტები „დილეტანტად" მიიჩნევენ თუ არა ვ. დანილოვ-დანილიანს, პროფესორს, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს, მაგრამ იმას მაინც დამიჯერებენ, რომ 1986 წელი არ წარმოადგენს „ამ მიმართულების განვითარების გარიჟრაჟს". აი რას წერს პროფესორი ვ. დანილოვ-დანილიანი ჟურნალში „ეკონომიჩესკიე ნაუკი" (№ 6, 1986): „სადემარკაციო ხაზი მათ შორის, ვინც იყენებს მათემატიკას, ...და მათ შორის, ვინც ფაქტობრივად უგულვებელყოფს ეკონომიკურ-მათემატიკურ მეთოდებს, სავსებით ცხადია". იგივე აზრისაა და მას კიდევ უფრო აზუსტებს გ. სემიონოვი (№ 10, 1986). აი, ვინ „სთავაზობს აშკარად მცდარ ინფორმაციას" მკითხველს, და რაც ყველაზე სამწუხაროა, სტუდენტს.

პატივცემულ ოპონენტებს ისიც მინდა ვუთხრა, რომ სარეცენზიო წერილში ჩვენს მიერ წამოჭრილი ზოგიერთი პრობლემა, რომელიც მათი „ყურადღების ღირსი" ვერ გახდა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ 1984 წელს შეტანილი იყო იმ ძირითად ეკონომიკურ ექსპერიმენტთა რიცხვში, რომლებიც ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარეობს.

მენტორის მანტიაში გახვეული ოპონენტები ხშირად არ გამოთქვამენ საკუთარ აზრს ამოწერილი ფრაზების მცდარობის დასადასტურებლად. მათთან ხშირია გამოთქმები: „ეს წინადადებები, ვფიქრობთ კომენტარს არ საჭიროებს"; „ჩვეულებრივი მკითხველიც კი დარწმუნდება ამაში"... და ა. შ. ასეთი, უკაცრავად პასუხია, მეთოდით შეიძლება ეჭვქვეშ დააყენო და ლაფში ამოსვარო მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნებისმიერი ნაწარმოები.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ სარეცენზიო წერილში ნაცვლად „შემოსავლების გათვლის არსებული მეთოდიკა" შეცდომით დაბეჭდილია „შემოსავლით გათვალისწინებული არსებული მეთოდიკა" და შენიშვნა სამართლიანია. სამწუხაროდ, საგაზეთო სტატიის მოცულობა საშუალებას არ მაძლევს უფრო დაწვრილებით გავცე პასუხი ოპონენტების ამბიციურ და არაკეთილმოსურნე წერილს. მასზე ჩემი უფრო ვრცელი პასუხი უკვე დიდი ხანია გავუგზავნე უნივერსიტეტის რექტორს და იმედია პატივცემული ოპონენტები მას კარგად იცნობენ.

ვფიქრობ, ზემოთქმული საკმაოა იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ, თუ როგორ სუბიექტურად, არაკვალიფიციურად და ცალმხრივ გაიაზრეს პატივცემულმა ოპონენტებმა ჩვენს მიერ მოყვანილი ფაქტები.

ო. პეტრიაშვილი,
ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

შრომითი სემესტრი — 88

სამშენებლო რაზმი „პატრიოტი—88" ხორნაბუჯის ციხეზე

საქართველოს ზოოვეტერინარული სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის ზოოსაინჟინრო და ვეტერინარული ფაკულტეტის 28 სტუდენტი ივლისის დასაწყისში ეწვია წითელწყაროს. ისინი 5 აგვისტომდე იმუშავებენ ხორნაბუჯის ციხის სარესტავრაციო-აღდგენით სამუშაოზე.

რაზმი (მეთაური — ზურაბ ძამუნაშვილი) ორ ნაწილად გაიყო: ერთი ნაწილი, რომელსაც რაზმის კომისარი ბადრი თოლორაია ხელმძღვანელობს, მუშაობს ციხის ქვედა ნაწილში. სტუდენტები კედლებს ათავისუფლებენ ჩანაშალი ქვისაგან, აღადგენენ ქვემო ციხის მთავარი დარბაზის ინტერიერს.

შედარებით მძიმეა საქმიანობა ციხის ზედა ნაწილში, სადაც მოთავსებულია მიწით დაფარული სასმელი წყლის აუზები. ხდება მათი აღდგენა. გაასუფთავებენ აგრეთვე კოშკის სათოფურებს.

სტუდენტები 3.100 მანეთის სამუშაოს შეასრულებენ.



სურათებზე: „პატრიოტი-88"-ის წევრთა ერთი ჯგუფი; ხორნაბუჯის ციხის ერთი კუთხე.

ვ. ბენზიურის („კომუნისტი") ფოტო.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისაგან

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრთა არჩევნების შესახებ 1988 წლის 15 აპრილს გამოქვეყნებული განცხადების შესაბამისად, მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრებისა და წევრ-კორესპონდენტების, სამეცნიერო და უმაღლესი სახელმწვანლების სამეცნიერო საბჭოების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად დასახელებული იყო 60 კანდიდატი და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად 307 კანდიდატი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებამ, თანასწორად წესდებისა, 1988 წლის 12 იელისს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრებად და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტებად აირჩია შემდეგი მეცნიერები:

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრებად

მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილებაში

ამაღლებელი ნოდარ სარდიონის ძე
ლომინაძე ჯუმბერ გიორგის ძე
ხარატიშვილი გურამ ლევანის ძე

დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილებაში

ალექსიძე მერაბ ალექსანდრეს ძე
გამყრელიძე ერეკლე პეტრეს ძე

ბამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილებაში

ხვინგია მიხეილ ვლადიმერის ძე

ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილებაში

ანდრონიკაშვილი თეიმურაზ გიორგის ძე
გელეხანი გურამ გიორგის ძე

ბიოლოგიის განყოფილებაში

ზაალიშვილი მალხაზ მიხეილის ძე
კვეტაძე გიორგი ივანეს ძე

ფიზიოლოგიისა და ექსპერიმენტული მედიცინის განყოფილებაში

ნანეიშვილი ბიძინა რაფიანის ძე

საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებაში

კაკურავა იური მიხეილის ძე
ხიდაშელი შალვა ვასილის ძე

ენისა და ლიტერატურის განყოფილებაში

ციციშვილი გიორგი შალვას ძე
წერეთელი კონსტანტინე გრიგოლის ძე

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტებად

მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილებაში

ბალაძე დურსუნ ოსმანის ძე
ვახანია ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე
კალაძე როლან ილიას ძე
მეხტაგორაშვილი მირიან ალექსის ძე
ცინცაძე ნოდარ ლევანის ძე
წერეთელი ოთარ დიმიტრის ძე

დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილებაში

შენგელაია გურამ შალვას ძე

ბამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილებაში

ბეთანელი კონსტანტინე პეტრეს ძე
მიქელაძე მერაბ შალვას ძე
ოგოგოაძე გოჩა გიორგის ძე
წილოსანი ზურაბ ნიკოლოზის ძე
ჯეჯაშვილი იოველ იაკინთეს ძე

ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილებაში

ეორდანია ირაკლი სერგოს ძე
ჩიგვაძე გივი ოქროპირის ძე
ცაგარეიშვილი გური-ბენედიქტეს ძე
ჯაფარიძე ჯონდო ივანეს ძე

ბიოლოგიის განყოფილებაში

ალექსიძე ნუგზარ გიორგის ძე
ბერიძე თენგიზ გიორგის ძე
ელიავა ირაკლი იასონის ძე
უგრეხელიძე დევი შალვას ძე

ფიზიოლოგიისა და ექსპერიმენტული მედიცინის განყოფილებაში

მოსიძე ვახტანგ მიხეილის ძე
ნადარეიშვილი კიაზო შალვას ძე
ტატიშვილი ნუგზარ ირაკლის ძე
ფოფი ვახტანგ ეგნატეს ძე

სოფლის მეურნეობის მეცნიერების პრობლემათა განყოფილებაში

ნათიშვილი ოთარ გიორგის ძე
ურუშაძე თენგიზ თედორეს ძე
ბოგვერი გიორგი ნიკოლოზის ძე

საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებაში

ალექსიძე ლევან ანდრიას ძე
გიორგაძე გრიგოლ გრიგოლის ძე
ზაქარაია პარმენ ფარნაოზის ძე
თევზაძე გურამ ბენიამინის ძე
მეტრეველი როინ ვიქტორის ძე
მუხელიშვილი დავთ ლევანის ძე
ნადირაშვილი ზოთა ალექსანდრეს ძე
შამილაძე ვახტანგ მამიას ძე
ჭილაშვილი ლევან ალექსანდრეს ძე
ჭორბენაძე სერგო მონასეს ძე

ენისა და ლიტერატურის განყოფილებაში

ბვანარია ალექსანდრე აკაკის ძე
ჯორდანიანი რისმაგ ბენიამინის ძე
ჭაველიძე ელიზბარ დიმიტრის ძე
ჭორბენაძე ბესარიონ არკადის ძე
ჯუსოითი ნაფი გრიგოლის ძე

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ა. თავხელიძე.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი ე. სხვიტარიძე.

აქტიური პოზიციიდან — აღმოჩენამდე

დაჩქარების სტრატეგია წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების სწრაფ დანერგვას ითვალისწინებს. ეს განსაკუთრებით იმ მიღწევებს ეხება, რომლებიც ტექნოლოგიური პროცესების თვისობრივ ცვლილებებთან არის დაკავშირებული. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ისტორია დასტურებს, რომ ახეთ საკითხებში ყოველთვის წამყვანი და მნიშვნელოვანი როლი მეცნიერ გამომგონებლებს აკისრიათ. დღეს, როცა დაჩქარების სტრატეგია ჩვენი მოქმედების ძირითად კანონად უნდა იქცეს, გამომგონებლის სფერო განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა. აღნიშნული მიმართულებით ჩვენს რესპუბლიკაში ბევრი რამ გაკეთდა და კეთდება კიდეც, მაგრამ გასაკეთებელი კვლავ ბევრია.

ეუცილებელია ახლებური მიდგომა ბევრი ორგანიზაციული საკითხისა და სასწავლო მეთოდიკური პროცესისადმი. დაჩქარების ტაქტიკგი კამპანიური მოვლენა არ არის და მისი განხორციელება უპირველესად სპეციალისტთა მომზადების საკითხის ახალებურ გადაწყვეტას მოითხოვს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ზოგადსაგანმანათლებელო სკოლებისა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მუშაობის გარდაქმნას. საქმეყოფილ ცნობილია ჩვენი მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის წარმატებები მხატვრულ შემოქმედებასა და სპორტში. მაგრამ ისიც ცნობილია, მსგავს მიღწევებს ტექნიკურ შემოქმედებაში ჩვენ ვერ დავიკვეხნით. ეფექრობთ, მხატვრულ შემოქმედებასა და სპორტში მიღწეული წარმატებები ლოგიკური შედეგია ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენისა და მათი მომზადების სისტემის გამართული მუშაობისა, ტექნიკური შემოქმედების შედეგებითი უფერულობა კი ამ მიმართულებით მიმდინარე მუშაობაში არსებული ხარვეზებით აიხსნება.

მოსწავლთა ტექნიკური მიმართულებით აღზრდას ჩვენს ქვეყანაში გარკვეული ყურადღება ეთმობოდა და ახლაც ეთმობა: ტექნიკური წრეები ჩამოყალიბებული იყო სკოლებში, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, პიონერთა სახლებში, მაგრამ ტექნიკური შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ყმაწვილების გამოვლენას უფრო მიზანდასახული, სისტემატური მუშაობა სჭირდება. პედაგოგებმა და ტექნიკური დარგების სპეციალისტებმა ერთობლივი ძალით უნდა შეიმუშავონ კომპლექსური პროგრამა, რომელიც მოიცავს 4-5 წლიდან 16-18 წლამდე ასაკის ყმაწვილებს.

კომპიუტერების ათვისებისა და მათი საყოველთაო გავრცელების მეთოდიკამ სხვადასხვა ქვეყანაში (აშშ, იაპონია) ნათელყო, რომ პრინციპი — თამაშობიდან ობიექტის შეცნობამდე, შეცნობიდან — ობიექტის გაუმჯობესებამდე წარმატებით შეიძლება გამოიყენონ სხვა სფეროებიც. ტექნიკური საშუალებებით თამაში გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე უბრალოდ თამაში და მას დიდი ადგილი უნდა დაეთმოს ჩვენი ბავშვების ცხოვრებაში. დღეისათვის ჩვენს ბავშვებსა და მოზარდებს საშუალება აქვთ სხვადასხვაგვარი ტექნიკური სათამაშოების (კონსტრუქტორები, რადიოაპარატურის დეტალების კომპლექტები, ელექტრული ელემენტები და ა. შ.) გამოყენებით დაიმაყოფილონ ცნობისმოყვარეობა, ამასთან ეძებონ ტექნიკური ხასიათის საკითხები ორგიინალური გადაწყვეტის ხერხები. ამგვარ თამაშებსა და ძიებებს ყოველმხრივი წახალისება და მხარდაჭერა სჭირდება. ბავშვების ტექნიკური შემოქმედების პოპულარიზაციისთვის აუცილებელია მათი ნამუშევრების ფართო გამოშზეურება, გამოფენების, კონკურსების მოწყობა. ჩვენს პიონერულ და კომკავშირულ ქალაქებს ამისი დიდი შესაძლებლობები აქვს.

დაჩქარების სტრატეგია და გამომგონებლობა

▼▼

ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია რესპუბლიკურ ტექნიკის სახლთან შეიქმნას გამომგონებლთა კლუბი, რომელიც კოორდინაციას გაუწევდა რესპუბლიკაში მომუშავე გამომგონებლებს და ხელს შეუწყობდა გამომგონებლთა პრაქტიკულ რეალიზაციას. ეს საშუალებას მიცემდა ახალგაზრდა გამომგონებლებს სპეციალისტთა წრეებში განეხილათ თავიანთი ნაშუშევრები. მიეღოთ კვალიფიციური კონსულტაცია, გაემდიდრებინათ თავიანთი ცოდნა სპეციალურ საკმის ცნობილი სპეციალისტების ხელმძღვანელობით მომუშავე სკოლა-სემინარებში და ა. შ. ახეთი საქმიან შეხვედრათა კლუბი დახმარებას გაუწევდა ზემოხსენებულ კომისიებსაც.

გამომგონებლებმა კარგად იციან, თუ რა სიძნელეები ახლავს წარმოებაში გამოგონების პრაქტიკულ დანერგვას. ფაქტობრივად გამომგონებელი მარტო რჩება უამრავი ობიექტური თუ სუბიექტური წინააღმდეგობის წინაშე, და ეს მნიშვნელოვნად აქვეითებს გამომგონებელთა მოღვაწეობის ინტენსიურობასა და ეფექტიანობას. ამ პრობლემების გადაჭრას უდავოდ შეუწყობდა ხელს საუკეთესო გამოგონებების აღრიცხვა და მათი დანერგვის საკითხის ცენტრალიზებული გადაწყვეტა, რასაც დასაბამი უკვე მიეცა და წარმატებით ხორციელდება კედელ. ამ უნდა აღინიშნოს, რომ ობიექტურობის დასაცავად აუცილებელია მოეწყოს ასეთი ნამუშევრების როგორც დარგობრივი, ასეევ დარგთშორისი განხილვა.

დაჩქარების სტრატეგია მოითხოვს გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა შეთანხმებულ მოქმედებას, ამ საქმეში ფართო სამეცნიერო ტექნიკური საზოგადოების ჩაბმას და მათი ძალების კონცენტრაციას უმნიშვნელოვანესი მიმართულებით.

დღეს ადამიანის ფაქტორი პარტიის განსაკუთრებული ყურადღებისა და ზრუნვის საგანია. ამიტომ, ვფიქრობთ, აუცილებელია ბისაგან, და ეს გარემოებაც უთუოდ განათვალისწინებელია.

ჩვენი აზრით, გადასინჯვასა და დაზუსტებას მოითხოვს აგრეთვე გამოგონების როგორც მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში გარკვეული ფეხლის შეფასების საკითხიც. დღესდღეობით მხოლოდ გამოგონების პრაქტიკული დანერგვა აძლევს ავტორს საშუალებას მიიღოს თავისი შრომის გარკვეული, სახლიური, მაგრამ აქ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება: გამოგონების დანერგვის პროცესი თავისი შინაარსით საკმაოდ შორს არის ფეშმარტი გამომგონებლობიდან და უფრო ორგანიზაციულ-სამეურნეო საქმიანობის სფეროს განეკუთვნება. ასეთი მიდგომა არ არის მართებული, რადგან გამომგონების იდეური, ლოგიკური მხარე, რომელიც ინერნული აზრიანებების განვითარებს წარმოადგენს, ამ შემთხვევაში უყურადღებოდ რჩება. წინასწარი გასამრჯელო, გამოგონების ავტორს რომ ეძლევა, ისე მცირეა, რომ უხერხულობასაც კი იწვევს და სრულებით არ შეესაბამება დახარჯულ შრომასა და გამოგონების პოტენციურ ღირებულებას. გამოგონების შეფასების კრიტერიუმების არასრულყოფილება საგრძნობლად აქვეითებს გამომგონებლობის — სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ამ უმნიშვნელოვანესი ბერკეტის მოქმედების ეფექტიანობას.

საქართველოს პოლიტეკნიკური ინსტიტუტის კოლეგიუმში დაგროვილი გამოცდილება გვიჩვენებს, თუ რა დიდი ეფექტი შეიძლება მოპყვეს ინტენსიურ საგამომგონებლო მოღვაწეობას, როგორც ფართო პატენტიზებითა და შემდგომ ლიცენზიების გაყიდვით გვიჩვენებდა.

გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საქმიანობის განვითარების საკითხი კიდევ მრავალ მტკივნეულ და საჭიროორობრივ მომენტს მოიცავს. ჩვენ აქ მხოლოდ ზოგიერთ ასპექტს შევეხეთ. ამ პრობლემების დაწვრილებითი განხილვა და შემდგომში მათი გადაწყვეტა უფრო ინტენსიურსა და რეალურს გახდის იმ ლოგიკურ გზას, რომელსაც მიეყვანო სპეციალისტთა აქტიური პოზიციიდან რაციონალიზაციამდე, რაციონალიზაციიდან — გამომგონებლობამდე და შემდეგ — აღმოჩენამდე.

ა. ნოზაძე,
საქართველოს ს. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროორექტორი სამეცნიერო დარგში, პროფესორი;

ა. კოსტავა,
ახალი ლიტონური მახალების მიღებისა და დამუშავების საპრობლემო საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრემიის ლაურეატი.

უცხოეთში

საკმლსი იუწყება
13 ივლისი

ავღანეთში მშვიდობის მისაღწევად

ქაბული, მართვის კოალიციურ ფორმაზე გადასვლა ეროვნული შერიგების პოლიტიკის ერთ-ერთი ამოცანაა, რომელიც ახლა ხორციელდება ავღანეთში, განაცხადა ავღანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა.

მან გააშუქა დასავლეთის პრესის ზოგიერთი პუბლიკაცია, რომლებიც კოალიციის შექმნის საკითხს ეხება, და თქვა: „ჩვენ არაერთგზის დაგვიდასტურებია, რომ მზად ვართ სისტლისდგრის შეწყვეტის მიზნით ყოველგვარი წინასწარი პირობების დაუთქმელად დაეიწყოთ მოლაპარაკება მთელ ოპოზიციურ ძალებთან, მათ შორის ქვეყნის შიგნით შეიარაღებული ჯგუფების მეთაურებთან, ლტოლვილთა წარმომადგენლებთან, „ვეიდთა ალიანსის“ ხელმძღვანელობასთან, თვალსაჩინო საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეებთან“. ავღანეთის რესპუბლიკა დარწმუნებულია, რომ ავღანეთთა შორის წინააღმდეგობების დასაძლევად მთავარია საბჭოური კონფორტაციის დონის შემაღლება და საბრძოლო მოქმედების შენელება, თქვა შემდეგ საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა. ამჟამად უკვე გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯები კოალიციის შექმნის გზაზე, და პოლიტიკური ძალების უფართოეს სპექტრზე დაყოფნობილი კოალიციური მთავრობის შექმნის გზა ეროვნული შერიგების პოლიტიკის წარმმატებელი განხორციელებაა. ჩვენი აზრით, შეიძლება განხორციელდეს ქვეყნის მომავლისადმი მხოლოდ ასეთი მიდგომა. ყოველგვარი სხვა გეგმები, რომლებიც რეალობათა გაუთვალისწინებლად შედგება, განწირულია ჩასაფუშავად.

როგორც ბაბთიარის საგაზეთო იუწყება, საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ავღანეთში მშვიდობის მისაფწევად საჭიროა ეუნგავის შეთანხმებათა ზუსტად დაცვა, უწინარეს ყოვლისა პაკისტანის მხარე, და მოწინააღმდეგე ძალების კონსტრუქციული დიალოგის დაწყება მათი პოზიციების დასაახლოებლად. მაშინ შეიქმნება პირობები, რათა შედგეს კოალიციური მთავრობა მშვიდობით დაინტერესებული მთელი ძალების წარმომადგენლთაგან.

◆ **ინდოეთი**

ბ. დუკაკისის განცხადება

ლონდონი. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა ტერორისტული სახელმწიფოა, რომელიც მეზობლად დამოუკიდებელი ქვეყნების წინააღმდეგ აგრესიულ პოლიტიკას ახორციელებს. ეს განაცხადა ბი-ბი-სი ტელეკომპანიისთვის მიცემულ ინტერვიუში ქვეყნის პრეზიდენტის პოსტის პრეტენდენტმა ამერიკის შეერთებული შტატების დემოკრატიული პარტიისაგან მაიკლ დუკაკისმა. მან აღნიშნა, რომ, თუ ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა, არ გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ ამერიკის შეერთებული შტატები გამოიყენებს სამხედრო ძალას ანარტიდის სახელმწიფოს წინააღმდეგ.

დუკაკისის ამ გამონთქვამებმა პრეტენზია აშკარა შოკი გამოიწვიეს. სამხრეთ აფრიკის რადიომ, რომელიც გამოხატავს მთავრობის თვალსაზრისს, გაიღიმეკრა დემოკრატთა პრეტენდენტის წინააღმდეგ, ამავე დროს ხოტბა შეასხა რესპუბლიკელთა კანდიდატს.

◆ **ინგლისი**

ბ. დუკაკისის ბოროტებანი

ლონდონი. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა ტერორისტული სახელმწიფოა, რომელიც მეზობლად დამოუკიდებელი ქვეყნების წინააღმდეგ აგრესიულ პოლიტიკას ახორციელებს. ეს განაცხადა ბი-ბი-სი ტელეკომპანიისთვის მიცემულ ინტერვიუში ქვეყნის პრეზიდენტის პოსტის პრეტენდენტმა ამერიკის შეერთებული შტატების დემოკრატიული პარტიისაგან მაიკლ დუკაკისმა. მან აღნიშნა, რომ, თუ ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა, არ გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ ამერიკის შეერთებული შტატები გამოიყენებს სამხედრო ძალას ანარტიდის სახელმწიფოს წინააღმდეგ.

დუკაკისის ამ გამონთქვამებმა პრეტენზია აშკარა შოკი გამოიწვიეს. სამხრეთ აფრიკის რადიომ, რომელიც გამოხატავს მთავრობის თვალსაზრისს, გაიღიმეკრა დემოკრატთა პრეტენდენტის წინააღმდეგ, ამავე დროს ხოტბა შეასხა რესპუბლიკელთა კანდიდატს.

ამერიკა არჩევნების წინ

გენტსენი—ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატი

ნიუ-იორკი. პრეზიდენტის პოსტზე დემოკრატიული პარტიისაგან კანდიდატობის პრეტენდენტმა მაიკლ დუკაკისმა ბოსტონში გამართულ პრესკონფერენციაზე დასახელა საარჩევნო კამპანიაში ვიცე-პრეზიდენტობის პოტენციური კანდიდატის ვინობა. იგი გახდა დემოკრატი სენატორი ტენესის შტატიდან ლოიდ ბენტსენი. მსხვილი ბიზნესმენი და მილიონერი ბენტსენი დემოკრატიული პარტიის კონსერვატიული ფრთის წარმომადგენელია და ამჟამად სენატის საფინანსო კომიტეტის თავმჯდომარის პოსტი უკავია.

მიმომხილველთა აზრით, ბენტსენის კონსერვატიულმა შეხედულებებმა უნდა მიიპყროს იმ ამომრჩეველთა ყურადღება, რომლებსაც თვით დუკაკისი „მეტისმეტ ლიბერალად“ მიაჩნიათ, და, კერძოდ, განამტკიცებს დემოკრატია ჰოზიციების ტეხასში — ახლანდელი ვიცე-პრეზიდენტი ჯორჯ ბუშის შტატში. ბენტსენი საკმაოდ პოპულარულია ტეხასში, სადაც 1970 წელს მან დამარცხა ბუში ამერიკის კონგრესში ამ შტატისაგან სენატორობის საკანონმდებლოსათვის ბრძოლაში.

აარჩევნო რომ გაკეთდა, დუკაკისმა ბოლო მოუღო „პროგნოზებს“ ვიცე-პრეზიდენტობის პოსტზე დემოკრატთა კანდიდატურის შესახებ. ბოლო დღეებში ამასთან დაკავშირებით სულ უფრო ხშირად ასახელებდნენ ამერიკაში ცნობილ ზანგ მოღვაწეს ჯესი ჯექსონს. ამ კვირის დამდეგს ჯექსონმა განაცხადა, რომ თუ შეთავაზებენ, იგი თანახმა იქნება შეიეწიოდეს დუკაკისის საარჩევნო ბრძოლაში როგორც ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატი. მაგრამ დუკაკისმა ბენტსენი ამჯობინა.

ეროვნული ფასეულობანი

ეროვნული ენციკლოპედია

ავტორიტეტი

ბოგოტა. შვიდი მეშახტე დაიღუპა და 15 უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება ოქროს მაღაროში ავარიის შედეგად, რომელიც ჩრდილო-დასავლეთ კოლუმბიის დაბა ტარაზის მახლობლად მოხდა. ადგილობრივ ხელისუფალთა ცნობის თანახმად, ტრაგედიის მიზეზი გახდა კოჯახპირული წყიმები და უსაფრთხოების ტექნიკის ნორმების უგულებელყოფა.

ეს ამ მაღაროში უკანასკნელ ხანს მომხდარი მეორე ავარიაა. გასულ კვირის მიწის ქვეშ ცოცხლად ჩაიმარხა ხუთი მაღაროელი.

◆ **ჩილე**

ჩილე დღეს პინოჩეტის ფაშისტური ხუნტის უღელქვეშ მგმენავი ქვეყანაა. აქ სუფევს უკანონობა და პოლიციური ტერორი. ჩილელებს პრაქტიკულად წართმეული აქვთ ყველა ძირითადი პოლიტიკური და სოციალური უფლება და თავისუფლებანი.

სურათზე: ანტიდიქტატორული გამოსვლის ერთ-ერთი მონაწილეს დაპატიმრება.

საკმლსის ფოტო.

კურორტები: საკავშირო მოსასურვება

კოჯორს გასულ კვირაძალს ვესტუმრე. დამსვენებლთა ნაკადი უკანასკნელ წლებში აქ სისტემატურად მატულობს. ეს განაპირობა კურორტის პოპულარობამ. მთის სიგრილეში განსაკუთრებით ბევრი ბავშვი ისვენებს. მათი უმეტესობა მანიც ორგანიზებული წესით არის მოსული პიონერთა ბანაკებში. საბავშვო ბაგა-ბაღებში...

საშუზაროდ, ვერ გავხდით დამსვენებელთა შესაფერისი მოსახერხებელ მოწმე. პირველივე შაბაეშდილება გაგვიფუჭდა სურსათ-სანოვაგის მაღაზიის ხილვით, რომელსაც კოჯრის სამმხმარებლო საზოგადოების შენობის პირველ სართულზე საკმაოდ სოლიდური ფართობი უჭირავს. აქ დახლ-მაცივრები გამოკრიალებულია. ირიოდე ცალი ძეხვი სიძველისაგან დაობებული და გაფუჭებული იყო. მცირედენი ბაყაოსული თევზიც იყო შემორჩენილი. მაღაზიის გამგემ ლუიზა ნონიაშვილმა, თუმცა ჩვენი ვინაობა არ იცოდა, თავი უხერხულად იგრძნო და განაცხადა: „გასაყიდად უვარგისია. ეს-ეს არის უნდა გადაგვეყაროო.

რა შეიძლება შეიძინოთ მაღაზიაში? კონსერვები, რომლებსაც ხალხი არ ეტანება. ლიმონათი, ხანდახან მინერალური წყლები, დაბალხარისხიანი კაფეტები. ხორცი, ძეხვის მრავალფეროვანი ასორტიმენტი, სოსნისი, რძის პროდუქტები აქ თვალითაც არავის უნახავს. ეს უკანასკნელი, რომ მოვიკითხეთ. გვითხრეს, აი, მაღლა, ფერდობზე ჰაიკას მაღაზია, რძის პროდუქტები მარტო იქ იყიდებაო. ჩვენც იქით გავწიეთ.

პერის მაღაზია — ასეა წარწერილი ერთ-ერთ გომერის ტიპის ფეხ შენობაზე. მაღაზიის წინ რიგ იყიდება, რომელიც ბალონებით მოეტანათ ავტომანქანით.

საიდან მოგაქვთ რძე?

ოცდეთის მეცხოველეობის ექსპერიმენტული საბჭოთა მეურნეობიდან, ამბობს გამყიდველი და რიგს ჩუჩუქლში უსხამს მომხმარებელს.

რძით ვიჭრობ აქ კარგად არის მოგვარებული.

ყოველ დილით დანიშნულ დროს მოდის ავტომანქანა. იყო შემოხვევა, როცა რძე აიჭარა, რისთვისაც საყვედურით მიუმართავთ მეურნეობის წარმომადგენლისათვის. ახლა ესეც გამოსწორდა, დამსვენებელი კმაყოფილია.

სამაგიეროდ . უკმაყოფილნი არიან რძის პროდუქტების მომარაგებით, რომელსაც დედაქალაქიდან იღებენ. დილის 11 საათზე გამლილი მაღაზიაში და ეს აუცილებელი პროდუქტი კიდევ არ იყო მოტანილი. მომხმარებელთა დიდი ჯგუფი კი 8 საათზე და უფრო ადრეც იყენენ აქ მოსულნი, მოთმინებით იცდიდნენ სამავშვო დაწესებულებათა წარმომადგენლებიც. არა და ამ დროისთვის მაწონი, არაჟანი, ხაჭო ბავშვებს მიღებული უნდა ჰქონოდათ.

— სრული განუკითხობაა. როგორც მოეხასიათებათ, ისე მოაქვთ რძის ნაწარი. მაგალითად, გაგვიკვირდა, რომ 9 ივლისს იგი რვა საათზე მოიტანეს. დღეს აგერ განიზაციებსაც უყოყმანოდ მიაქვთ. რა ქნან, ვის მიმართონ, საქმის გამოსწორებზე თითქმის არავინ იწუხებს თავს. განა ის მოსათმენია, რომ ალნიშნული მაღაზიის ერთადერთ გამყიდველს აკისრია ერთდროულად ორგანიზაციებზე რამდენიმე სახის პროდუქტების გაცემაც და მომხმარებელთა მომსახურებაც? დგას დილით დიდი რიგები — ჰაიკა ვარსისანი საქმეს ვერ უთავდება. ამას ემატება მისი ასაკიც — რვა ათეული წლის სიმძიმე. ისე საქმეში კარგად არის „გაჯაფული“. 45 კაპიკიანი ბერძნული ლავაში მომხმარებელს ჩვენს თვალწინ 50 კაპიკი დაუფასა და ორ ცალში მანეთი გადაახდევინა. ფასებში აქ მეტწილ პროდუქტებს არ ეწერა. ირღვევა ერთ ხელზე ორ ფასი. ეს ზღვაში წვეთიც არ არის. ხარისხს ვინ დაგიდვეს, მხოლოდ იყოს და მის ფაღეზზე უარს არავინ ამბობს. მაღაზიაში იყიდებოდა უხარისხო ბოსტნეული, თერმოლიდან მიღებული ტალახანი ხაჭი, მტისმეტად ფარული კარტოფილი, ხლომად იყო აგრეთვე ვადგასული კვერცხი, რომელზეც აქაც და სხვა მაღაზიებიც მიწერილი ფასი გვარწმუნებს, რომ იგი დიეტურია. გვეჭირს, ძალიან გვეჭირს, გვითხრა თბილისის კალინინის რაონის № 13 ბაყაბაღის წარმომადგენელმა თამარ მარტაძემ, როგორც ხალი, აგრეთვე ქინძი, მწვანე ხახვი, მწვანე ლობიო, პამიდორი და სხვა პროდუქტი. აღნიშნული დაგვიდასტურა თბილისის თამბაქოს

რატომ უჭირს დამსვენებელს?

მესამე საათია ველოდებთ, დაგვაწყდა ნერვები, ეს გამონაკლისი რიდია. ზმიოდან დაგვიანებთ მოაკვნ პუნიც. — ვეთხრა რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალურმა პენსიონერმა, ინჟინერმა დავით სახოკიამ, რომელსაც აქ შვილიშვილი ამოუყვანია დასასვენებლად.

დაგვიკეთა ერთმა შეუსაბამობამაც. როგორც აღვნიშნეთ, ცენტრში მაღაზიის შესანიშნავი შენობა დაცარიელებულია. „ჰაიკას პერის მაღაზიის“ უკარგის შენობაში, რომელსაც დამხმარე სათავსოებიც არ გააჩნია, ისედაც მოუხერხებელ ადგილზეა და მეტისმეტად არადამაკმაყოფილებელი სანიტარულ-ტექნიკური და ჰიგიენური მდგომარეობა აქვს, იყიდება ბაკალეიისა და გასტრონომიული პროდუქტებიც. ბურღულის, ბრინჯის, პერის ფქვილის, შაქრის ტომრები იატაკზე ერთმანეთზე ულაზათოდაა მიყრილ-მოყრილი. გამომცხვარი პურისათვის აქ თარეი არ არის და პირდაპირ ერთმანეთზე. აწყობენ ე. წ. კასეტებით. პური ერთმანეთს რომ აწევდა ფორმის კარგავს, მაგრამ ამას ვინ დაგიდევს, მყიდველიც უპრეტენზიოდ ყიდულობს და საბიჯეკენ ორ-პროდუქტების გაცემის ნორმებიც: ახლომახლო სოფლების მცხოვრებლებს ტომრებითაც კი მიაქვთ ვამომცხვარი პური, ერთ-ერთი მომხმარებელი ისე გაშინაურებულა, თავის ხელით გამოტანა ერთი ტომარა შაქრის ფხვნილი და ჭაღი. რა გადაადგევინა ჰ. ვაროსიანმა არ ვიცით. ის კი ნათელია, რომ ტყუილად არ გაირჯებოდა კაცი, რომელსაც მთელი ვაჭრობის მონოპოლია თითქმის ხელთ უპყრია. იმასაც კი გაიძახის, მადლობელი იყავით რომ გემსახურებთ და თქვენ გულისთვის შეიღებსაც კი ვაწუხებთ. მაღაზიაში მარილაც შინაურულად ტრიალებდა მისი ქალიშვილი.

ხილ-ბოსტნეულის მაღაზიაში, რომელიც დაბის ცენტრშია მოთავსებული ხილი მართლაც „ოქროს ხილი“ გამხდარა. მეტწილად მაღაზია ხილეულისა და აუოვრნნის წყენებით ვაჭრობს და ამავეს სთავაზობს საბაგშო დაწესებულებებს, რომელთა ვიტამინიანი პროდუქციით მომარაგება ამ მაღაზიას ევალება. მაღაზიის თანამშრომელი ანგელინა ოსეფაშვილი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ წელს დიდი ვაი-ვაგლახი ორასიოდე კილოგრამი ბალი და მცირეოდენი გარგარი მიუღიათ. ეს ზღვაში წვეთიც არ არის. ბარისხს ვინ დაგიდვეს, მხოლოდ იყოს და მის წყიდვაზე უარს არავინ ამბობს. მაღაზიაში იყიდებოდა უხარისხო ბოსტნეული, თერმოლიდან მიღებული ტალახანი ხაჭი, მტისმეტად ფარული კარტოფილი, ხლომად იყო აგრეთვე ვადგასული კვერცხი, რომელზეც აქაც და სხვა მაღაზიებიც მიწერილი ფასი გვარწმუნებს, რომ იგი დიეტურია. გვეჭირს, ძალიან გვეჭირს, გვითხრა თბილისის კალინინის რაონის № 13 ბაყაბაღის წარმომადგენელმა თამარ მარტაძემ, როგორც ხალი, აგრეთვე ქინძი, მწვანე ხახვი, მწვანე ლობიო, პამიდორი და სხვა პროდუქტი. აღნიშნული დაგვიდასტურა თბილისის თამბაქოს

ჟურნალისტი

14 ივლისი, 1988 3

ᲓᲦᲔᲡ, 14 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ, ᲜᲝᲓᲐᲠ ᲓᲣᲛᲑᲐᲫᲔ 60 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲮᲓᲔᲑᲝᲓᲐ

„ამ სახლში 1971-1984 წლებში ცხოვრობდა ნოდარ დუმბაძე, ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე", — ვკითხულობ მემორიალურ დაფაზე... ილია ჭავჭავაძის პროსპექტი, I შესახვევი, № 2, მეშვიდე სართული... ირგვლივ ფოტოსურათებია, ფოტოსურათები და უჩვეულოდ ნათელი სამყარო — მსგავსი გრძნობა მაშინ გაჩნდება ხოლმე, როცა საყვარელ მწერალთან, მის ცხოვრებასთან, დიდ შემოქმედებასთან ახალი შეხვედრის წუთები დგება... აქ სუნთქავდა, აქ ცხოვრობდა, ქმნიდა სიცოცხლის ბოლო წლებში... მზე ყოველთვის შემოდიოდა მაღალ ფანჯრებში... სული კი იწვოდა მზის სხივებად ჩამოღვენთილი... გავლილი იყო ცხოვრების ნახევარგზა, ჩამუქებული ბავშვობა, ოცდაჩვიდმეტი წლის გამოუთქმელი ტკივილი და გაბზარული გული...

ბევრს წასცხო მგოსნის მირონი"...

...ძველ ჩვენი სათაყვანებელი ოლღა ბებია — სესილია თაყაიშვილი — სევდაჩამდგარი თვალებით... მას სურათი უჩუქებია ნოდარ დუმბაძისათვის. აქვეა 1963 წელს შესრულებული გიგლა ფირცხალავას მეგობრული შარჟი... ფოტოებში კი ნოდარ დუმბაძე — განმარტოებული და მეგობრებთან ერთად, შინ და უნივერსიტეტში, მწერალთა კავშირში ქართველ თუ უცხოელ მწერლებს შორის მომღიმარე... ბევრს, ბევრს გვიამბობენ ფოტოები, ჩანაწერები.

საგამოფენო დარბაზის პირდაპირ მწერლის კაბინეტია. არა მარტო აქ, არამედ ნოდარ დუმბაძის მთელ ბინაში იგრძნობა ის სისადავე, რომელიც თვითონ მწერალს ახასიათებდა. ხელუხლებლად დგას მწვანე სავარძლები



ᲛᲖᲔ ᲛᲐᲦᲐᲚ ᲤᲐᲜᲯᲠᲔᲑᲨᲘ

ᲠᲔᲞᲝᲠᲢᲐᲟᲘ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ: ᲜᲐᲮᲕᲐᲛᲓᲘᲡ, ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲝ!

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ჩვენმა მკითხველებმა იციან, ქუთაისში დამთავრდა ტრადიციული მუსიკალური ფესტივალი, რომელმაც საბჭოთა სცენის გამოჩენილი ოსტატების ხელოვნებას აზიარა მაყურებლები. იგი მუსიკალური ხელოვნებისა და მეგობრობის ჭეშმარიტ დღესასწაულად იქცა. ეს იგრძნობა ფესტივალის სტუმარ-მასპინძელთა შთაბეჭდილებებშიც, რომლებსაც ქვემოთ გთავაზობთ.

ᲘᲣᲠᲘ ᲛᲐᲖᲣᲠᲝᲙᲘ, სსრკ დიდი თეატრის სოლისტი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი: — პირმოთნეობაში არ ჩამითვალოთ: ძალიან შემიყვარდა ქუთაისი. აქაური ფესტივალიდან შარშან აღფრთოვანებული წავედი. წლეულს სიამოვნებით გამოვეშურე თქვენსკენ. არაჩვეულებრივი მსმენელები არიან ქუთაისელები — მცოდნენი, მგრძნობიარენი, გულითადნი, ობიექტურნი.

დიდი შთაბეჭდილება მიმყვება და იმის სურვილიც, რომ მომავალ ფესტივალზეც გასტუმროთ...

თავრე საშუალო სკოლა, სამუსიკო სასწავლებლის ვოკალური განყოფილება.

ყველა მომღერლისათვის დიდი პატივია ისეთი რანგის ფესტივალში მონაწილეობა, როგორიც ქუთაისის ფესტივალია. ქუთაისელთა სახით სასიამოვნო მსმენელი და კეთილი მეგობრები შევიძინე, მსურს მათთვის ვიმღერო დაუსრულებლივ.

ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲛᲐᲛᲐᲪᲐᲨᲕᲘᲚᲘ, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის...

დევ უფრო მეტი „ვარსკვლავი" დაინტერესდება მისით. ჩემი აზრით, ფესტივალის ორგანიზაციის ერთ-ერთი სირთულე სწორედ გამოჩენილი მომღერლების მოზიდვაში მდგომარეობს, მაყვალა ქასრაშვილისა და ზურაბ სოტკილავას წყალობით ეს საკითხი ხამივე ფესტივალზე ბრწყინვალედ მოგვარდა.

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲐ ᲒᲐᲛᲧᲠᲔᲚᲘᲫᲔ, აბრეშუმის საწარმოო საფეიქრო საამქროს გაერთიანების მქსოველი, სოციალისტური შრომის გმირი: — სულ სხვაგვარი ელფერი ჰქონდა ჩემს ქალაქს ფესტივალის დღეებში. ყველას, დიდპატარას სახეებზე კმაყოფილება და ამაღლებული განწყობილება აისახებოდა. განსაკუთრებული მადლიერება მინდა გამოვხატო ამ...

...დრებისათვის, ღიმილისათვის, სიყვარულისათვის.

ᲑᲘᲝᲠᲒᲘ ᲡᲔᲚᲘᲖᲜᲔᲕᲘ: სსრ კავშირის დიდი თეატრის სოლისტი: — დავიბადე და გავიზარდე საქართველოში, მშობლიური ქალაქია ქუთაისი. თბილისში დავამ-

...სასწავლი იყო, არამედ — საოპერო თეატრის შემოქმედებითი ზრდის ერთ-ერთი შესანიშნავი საშუალებაც. სასიამოვნოა, რომ წლეულს მრავალფეროვანი გახდა მისი რეპერტუარიც და გეოგრაფიაც. ვფიქრობ, მომავალში კი-

...სრულ შესაძლებლობას კი, ბუნებრივია, ჩვენი ქალაქის სანახაობითი დაწესებულებები ვერ იძლევა) და საოპერო სცენის ოსტატები შრომითს კოლექტივებშიც მიავლინეს. რა გულწრფელი კონტაქტები დამყარდა მუშათა

ᲒᲣᲨᲘᲜ — ᲓᲦᲔᲡ — ᲮᲕᲐᲚ

ᲤᲐᲥᲢᲘ ▪ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ ▪ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ

ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘ ᲡᲔᲜᲘᲡ ᲜᲐᲞᲘᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ

● **ᲐᲥ** სტუმრად არ უგრძვნია თავი ახალგაზრდა პარიზელს ლეო ტარნიეს — საბჭოთა და ფრანგი ახალგაზრდობის მეგობრობის იმ კვირეულის მონაწილეს, საქართველოს დედაქალაქში რომ დამთავრდა.

— საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ახალგაზრდობის მეგობრობის კვირეული სსრ კავშირში პირველად როდი იმართება, — თქვა ლეო ტარნიემ. — მაგრამ განსაკუთრებით მეამა მონაწილეობა ახლა, როცა თქვენს ქვეყანაში რევოლუციურ გარდაქმნებთან დაკავშირებით ინტერესი საბჭოთა ხალხის ცხოვრებისადმი მთელ მსოფლიოში ძალზე გაიზარდა.

...ვენებელი საგზური. 28 აგვისტომდე ასეთსავე საგზურებს მიიღებს 1.100 ნორჩი ტყიბულელი.

160 ბავშვი ჯანმრთელობას გაიუმჯობესებს ბაკურიანის, ქვიშხეთისა და სურამის პიონერთა ბანაკებში.

იმათთვის, ვინც ზაფხულს მეშახტეთა ქალაქში გაატარებს, გახსნილია 4 პიონერთა ბანაკი. ისინი ერთდროულად 540 დამსვენებელს ემსახურებიან. მათთვის ეწყობა ტურისტული ლაშქრობები, სპორტული შეჯიბრებები, ექსკურსიები სოხუმში, გაგრაში და რესპუბლიკის სხვა ღირსშესანიშნავ ადგილებში.

ᲙᲝᲙᲘᲡᲞᲘᲠᲣᲚᲘ ᲬᲕᲘᲛᲐ ᲓᲐ ᲡᲔᲢᲧᲕᲐ ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲨᲘ

...დებობიდან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

რუბრიკისათვის გამოყენებულია საკდესის, საქინფორმისა და „კომუნისტის" კორესპონდენტთა მასალები.

ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲧᲐᲠᲐᲑᲐᲦᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

...სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები ოლქის მინდვრებში გრძელდება.

ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 12 ივლისს საღამოს ბაქოში გამართულ სხდომაზე განიხილა მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის სახალ-

...ბჭოს სესიის გადაწყვეტილება და გააუქმა იგი სსრ კავშირის კონსტიტუციის 87-ე მუხლის, აზერბაიჯანის სსრ კონსტიტუციის 114-ე მუხლისა და „მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის შესახებ აზერბაიჯანის სსრ კანონის 42-ე მუხლის საფუძველზე. (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ).

...გალაქტიონის უბის წიგნაკში მიკვლეული იქნა პატარა ჩანაწერი. აი ისიც: „საღამოთი მივიღე ახალგაზრდა პოეტის ნოდარ დუმბაძის ჩემდამი მოძღვნილი ლექსი. ახალგაზრდულია, გულწრფელი, ემოციური. მიწოდებს „ლექსის მესიას", რომელმაც

...ლეს დაუბრუნდა მწერალი. „ნოდარ დუმბაძის სახლ-მუზეუმს გამომცემლობა „ნაკადულის" კოლექტივისაგან" — ეს არის სულ ახლად დაბეჭდილი ლექსების კრებული, ლამაზ გარეკანში ჩასმული, საიუბილეოდ რომ გამოიცა სათაურით „ლექ-

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: კარადა სხვადასხვა ენაზე გამოცემული წიგნებით. ნოდარ დუმბაძე სტუმრად „კომუნისტის" რედაქციაში (ქვეყნდება პირველად); ნოდარ დუმბაძის სამუშაო ოთახის კუთხე.

ჯ. ლომაძის („კომუნისტი") ფოტო.



ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲡᲐᲭᲐᲓᲠᲐᲙᲝ „ᲝᲡᲙᲐᲠᲔᲑᲘ" ᲒᲐᲓᲐᲔᲪᲐᲗ

ᲒᲣᲨᲘᲜ მოვიდა ცნობა, რომ ბარსელონაში მოეწყო საჭადრაკო „ოსკარების" გადაცემის საზეიმო ცერემონიალი. 1986 და 1987 წლებში მოპოვებული საუკეთესო შედეგებისათვის ეს ჯილდოები გადაეცათ მსოფლიო ჩემპიონებს გარი კასპაროვს და მაია ჩიბურდანიძეს. ამ საზეიმო ცერემონიალში მონაწილეობა მიიღეს საჭადრაკო პრესის საერთაშორისო ასოციაციის თავმჯდომარემ სვენდ ნოვრუპმა, ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის (ფიდე) ვიცე-პრეზიდენტმა რაფაელ ტუდელამ, ესპანეთის ჭადრაკის ფედერაციის ხელმძღვანელებმა, საჭადრაკო საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა და ჟურნალისტებმა.

ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲐᲨᲝᲐ

ᲩᲕᲔᲜᲛᲐ მკითხველებმა უკვე იციან, რომ უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგ ტურში თბილისის „დინამომ" რიგით უკვე მეათე მატჩი წააგო: ამჯერად ალმაათის" „კაირატთან" — 0:2. თუ რაოდენ დამთრგუნავია დინამოელთა ქომაგებისთვის თავიანთი საყვარელი გუნდის ასეთ ვითარებაში ყოფნა, ყველასათვის გასაგებია. ისიც ცნობილია, რომ ამ ბოლო წლებში „დინამო" ერთობ ცუდად თამაშობს და უკვე რამდენჯერმე რის ვაი-ვაგლახით შეინარჩუნა უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება. და აი, ახლაც ასეთივე ვითარებაშია და, უფრო მეტიც, ამჟამინდელი მისი სატურნირო მდგომარეობა გაცილებით მძიმეა, ვიდრე რომელიმე აქამდე მოწყობილ საკავშირო ჩემპიონატში. ერთი სიტყვით,

დღეისათვის უმაღლესი ლიგის გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასეთია:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინ." კ.	14	10	3	1	22-5	23
„დნეპ."	15	7	7	1	18-9	21
„სპარტ."	13	7	5	1	20-11	19
„ტორპ."	15	7	4	4	17-14	18
„ზენიტი"	14	7	3	4	24-19	17
„ჟალ."	14	6	5	3	19-15	17
„ლოკ."	14	6	3	5	16-13	15
„ჩერნ."	15	7	1	7	12-15	15
„არარ."	15	5	4	6	10-13	14
„მეტალ."	15	4	6	5	14-18	14
„დინ." მ.	15	5	3	7	17-20	13
„დინ." მნ.	15	3	6	6	12-15	12
„შახტ."	14	3	4	7	9-14	10
„ნეფთ."	15	4	1	10	14-23	9
„დინ." თბ.	14	4	0	10	16-24	8
„კაირ."	15	3	1	11	12-24	7

მეთექვსმეტე ტურის მატჩში თბილისის „დინამო" 31 ივლისს...

ჯ. ᲘᲜᲪᲙᲘᲐ.

ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲗᲐ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲡ

ᲠᲐ ᲘᲬᲕᲔᲕᲡ ᲝᲖᲝᲜᲣᲠ ᲮᲕᲠᲔᲚᲡ?

ᲛᲝᲒᲔᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐᲗ, ახლა ბევრს ლაპარაკობენ ანტარქტიდის თავზე აღმოჩენილ ოზონურ ხვრელსა და მისი წარმოშობის მიზეზებზე. ამას წინათ ამ საკითხის ირგვლივ საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საუწყებათაშორისო გეოფიზიკური კომიტეტიდან ამერიკის გეოფიზიკური კავშირის ერთ-ერთი ჟურნალის მასალებზე დაყრდნობით მოგვაწოდეს ახალი ინფორმაცია, რომელიც, ალბათ, საინტერესო იქნება ფართო საზოგადოებრიობისათვისაც.

ამერიკის შეერთებული შტატების აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს (ნასა) ორი თვითმფრინავ-ლაბორატორიის მიერ მოპოვებული მონაცემებით, ანტარქტიდის თავზე ოზონური ფენის შესუსტების პროცესი გრძელდება. 1987 წლის სექტემბრის შუა რიცხვებში (როდესაც სამხრეთ ნახევარსფეროში გაზაფხულია) ოზონის რაოდენობა 14-28 კილომეტრის სიმაღლეზე 15 პროცენტით ნაკლები იყო 1985 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. ეს გაზომვები დადასტურდა როგორც დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრზე მოთავსებული აპარატურით, ასევე დედამიწიდან დაკვირვებებით. ჰაერის ნიმუშებმა და ატმოსფეროში ქლორის შემცველობის ტელემეტრიულმა გაზომვებმა აჩვენა, რომ ანტარქტიდის თავზე მისი შემცველობა დროდადრო ასჯერ ჭარბობს ამავე სიმაღლეებზე საშუალო განედებში რეგისტრირებულ სიდიდეებს. ეს ადასტურებს ჰიპოთეზას, რომლის თანახმადაც ატმოსფეროში ოზონის დაშლა ხდება ქლორის, კერძოდ კი მისი ნაირსახეობის რადიკალის ClO გავლენით. ქლორის პირველად წყაროს კი წარმოადგენს ადამიანის მიერ წარმოებული ქლორფტორნახშირბადები.

მეორე მხრივ, ამ პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბუნებრივი მეტეოროლოგიური ფაქტორებიც. მაგალითად, ანტარქტიდის თავზე ოზონური ხვრელის შესწავლის ნასას პროექტის ხელმძღვანელი რ. უოტსონი აღნიშნავს, რომ თვითმფრინავიდან შესრულებული გაზომვები მიუთითებს პერიოდულად განმეორებადი 48-საათიანი ინტერვალების არსებობაზე, რომელთა განმავლობაშიც მიმდინარეობს ოზონის საერთო კონცენტრაციის მსხვილმასშტაბიანი შემცირებები, რომლებიც 10 პროცენტს აღწევს.

ცხადია, რომ ასეთი მოვლენა დამოკიდებულია მეტეოროლოგიურ და არა ანთროპოგენურ ფაქტორებზე. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ანტარქტიდის თავზე ოზონის კონცენტრაციის ბუნებრივი შემცირების ყოველწლიურად განმეორებადი პროცესები, რომლებიც დაკავშირებულია სტრატოსფეროს ამ რეგიონისათვის ჩვეულებრივ დინამიკასთან, მნიშვნელოვნად ძლიერდება ქლორისტულ ნივთიერებათა ზეგავლენის გამო, ვინაიდან ეს უკანასკნელი ხასიათდება ოზონის გამანადგურებელი დიდი უნარით.

ნ. ᲛᲝᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ,



ᲡᲐᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲝ ᲞᲣᲜᲥᲢᲔᲑᲘ:

სოხუმი — 2-40-19; ბათუ-...

ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ:

მისაღები — 93-95-54, მშრომელთა წერილების განყოფილება — 99-73-24

ტყიბული — 25-82. ხონში — 3-20-77. ახალ ციხე — 2-03-15.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ — ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 14 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

პირველი პროგრამა. 12.15 — ...

...ეკრანი". 17.45 — მშრომელთა მხატვრული თვითმოქმედების მე-3 საკავშირო ფესტივალის ...

...„ელი, აუქციონია?". 20.45 — XIX საკავშირო პარტიული კონფერენცია. გარდაქმნის რეალიზმი. ეკონომისტები მრგვალ მაგიდასთან". 22.00 — „ვრემია". 22.40 — გარდაქმნის პროჟექტორი. 22.50 — რეპორტაჟი

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი". 9.35 — ფილმი — ბავშვებს. „მიკლუკა-ოროთქლმავალი". 11.05 — ახალი ამბები.

...გული მხატვრული ფილმი „სახელმწიფო მნიშვნელობის საქმე". 22.00—„ვრემია". 22.40 — გარდაქმნის პროჟექტორი. 22.50 — დოკუმენტური ფილმი. 0.15 — დღეს მსოფლიოში. 0.25 —

...ულებრივი და დაუჯერებელი". I სერია. 12.40 — მხატვრული ტელეფილმი „პოლონეთის გზები". IV სერია. 13.45 — დოკუმენტური ფილმი ა. მ. დიდენკოზე, რომელმაც ექვსი ბავშვი

...გინდა ჯანმრთელი იყო. 21.30 — „ყველასა და თითოეულისათვის". 22.00 — „ვრემია". 22.40 — გარდაქმნის პროჟექტორი. 22.50 — მხატვრული ტელეფილმი „პოლონეთის გზები". IV სერია. 23.55 — ახალი ამბები.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 05434 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14